345/2
1908

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საუმაწვილო ნახატებიანი
ჟურნალი

№ III

მარტი

1908

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I სურათი. რა ძნელი ყოფილა მუშაობა! . . . . . .

II ახალი დროის ყვავი (რუსულით) ტასოსი . . 3

III სამართალიც ასეთი უნდა (ფრანგულით) ნ. ადნიაშვილისა 5

IV ამბები ზოოლოგიურ ბაღში მცხოვრებლებისა II ლომი.—ვ. მიქაბერიძისა 7

V საკვირველი ჭიები (რუსულით) დასასრული ანიკოსი 14

VI გუგული (რუსულით) ს. ფ—ასი . . . . . .

VII პეტრიკა მოიწამლა! კომედია ფრანგულით, ნ. წერეთლისა . . . . . .

—

VIII *** ლექსი, შიო მდგიმელისა 38

IX ჯიუტი თხა. მამინ სიბირიაკის ზღაპარი. თარგ. ეკ. მესხისა 39

X საფრანგეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილება, ივ. გომართელისა 45

XI უგულო ბავში, მოთხრ. მონგომერისა, დასასრული შემდეგ. თარგ. ელ. წერეთელისა 51

XII მანქანა მეფეა და შრომა—ფული (გაგრძელება იქნება) ს. ფ. 59

XIII ბუნების ლექსიკონი, ნაწილი პირველი, შედგენილი ილ. ალხაზიშვილის მიერ 17

მიიღება ხელის მოწერა

1908 წლის

ჯეჯილზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

№ III

მარტი, 1908

წელიწადი მეცხრამეტე

თ ფ ი ლ ი ს ი
ელექტრონითმბეჭდავი ამხ. „ზრომა“, რუსსკაია ქუჩა, № 3.
1908

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„რა მნელი ყოფილა მუშაობა“!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი დროის ყვავი.

ეს ყვავი იყო შვილი-შვილი იმ განთქმულ ყვავისა, რომელიც აწერილია იგავში: „ყვავი და მელია“ და რომელიც თქვენ, უმაწყინლებო, თითქმის ყველამ ზეპირათ იცით. ხოლო ეს იყო ჯერ სულ ახალგაზრდა. ამან სამსარეულოდან მოიტაცა შემწვარი წიწილა, შეჯდა ღობეზე და დაუპირა, დიდი ხნის უჭმელობის შემდეგ, მითი პირის ჩატკბანურება.

შემწვარის სუნზე გაჩნდა მშიერი მელია, რომელიც აქვე ახლოს დაწანწალებდა და შესძახა:

— როგორ მშვიდობით ბრძანდებით?

ყვავმა ხმა არ გასცა.

— ენა რაზე ჩაგვარდნიათ მუცელში? განაგრძო უკმაყოფილოთ მელიამ.

ყვავმა მაინც ხმა არ გასცა.

— მე ვიცი, რომ საუცხოვო სიტყვა-პასუხი იცით. და მშვენიერი ხმაცა გაქვთ, თქვენ კი გაჩუმებულხართ, და კუნძივით დასკუპულხართ მანდა.

ყვავი ისევ ისე ხმას არ იღებდა. მელა გაბრაზდა და მკვახეთ უთხრა:

— თქვენ ისეთი უგუნური და ბრიყვი ყოფილხართ, რომ ზრდილობა არ მოგეთხოვებათ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
2030
1996
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ კი ევავმა დასდო წიწილა ღობეზე, ზედ დააჭირა კლანჭები და თქვა:

— მოგახსენებთ, რომ მე ძალიან კარგათ ვბრძანდები. ლაპარაკიც, დარწმუნდებოდით, მცოდნია; ენა, როგორიც ეველასა, მეც ისეთი მაქვს, ჩემ ხმასაც არა უშავსრა. ამასთანავე არც ისეთი უჭკუო ვარ, რომ ვერ მივხვდე თქვენ გაიძვერობას. ამასაც გეტყვით — რომელიც ჩვენგანი უფრო სულელია — თქვენვე გადასწყვიტეთ. თქვენ თქვენი აზრისა იყავით — მე ჩემისა. კარგათ წაკითხული მაქვს ჩვენზე დაწერილი იგავი, უსათუოდ თქვენც წაიკითხავდით, მაგრამ გაგებით — სხვა დასხვა ნაირად გაგვიგია.

ევავმა მაგრათ მოჭიდა ნისკარტი შემწვარ წიწილს და გაფრინდა შორს საუზმის საჭმელათ.

— უჭ! სიბრაზით კბილები დააკრაჭუნა მელიამ, — ეს ახალგაზდები რანაირნი არიან, ძველ დროში უფრო ადვილი ეოფილა ცხოვრება.

ტასო.

(თარგმანი)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამართალიც ასეთი უნდა!

იგავ არაკი.



ორმა კატამ ყველი იშოვა, მაგრამ გაყოფაში ვერ მორიგდენ. შუა კაცად მაიმუნი აირჩიეს.

მაიმუნმა აიღო ყველი, გაყო ორად და დაუწყო სასწორზე.—უყურეთ აქ, თქვა მაიმუნმა, მგონია, ეს მხარე სძლევს მეორეს.

და სასწორის შესასწორებლათ ერთი ზორბა ნაჭერი ჩამოაცალა ყველს. მაშინ მეორე მხარე დამძიმდა და გადიხარა; ახლა ამ ნაჭერს მიადგა ჩვენი მართლ-მსაჯული.

— კმარა, კმარა, ყვიროდენ შეწუხებული კატები, ჩვენ მოვრიგდებით, კმაყოფილნი ვართ!

— თუ თქვენ კმაყოფილნი ხართ, უპასუხა დიდგულათ მაიმუნმა,—მართლმსაჯულობა ჯერ არ არის დაკმაყოფილებული და ხან ერთს, ხან მეორე ნაჭერს დაუწყო ჭამა.

კატები ემუდარებოდენ, ესვეწებოდენ დაგვესსენიო, მაგრამ ამაოდ.

— მოითმინეთ, დამაცადეთ, მეგობრებო! ეს რაც ყველი დარჩა მე მეკუთვნის გასამრჯელოში და მაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნმა გადაულაპა დანარჩენიც. მომჩივრები კი ფრიად ზრდილობიანათ ხელცალიერნი გაისტუმრა.

კატები დამშარებული დარჩენ და ერთმანერთს შეჭ-ფიცეს—ამას იქით საქმე ერთმანერთში მორიგებით გაე-თავებინათ ხოლმე.

ნ. ალნიაშვილი.

(ფრანგულით)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამბები ზოოლოგიურ ბაღში მცხოვრებლებისა

II.

ლომი.

— ოხ, ჩემო მეგობარო, არც ჩვენა ვართ კარგ მდგომარეობაში, ამოიოხრა დიდმა ლომმა.—ტეეში თავისუფლათ ნავარდობის შემდეგ, ძნელი ეოფილა ტეგეობის ატანა და შიმშილი.

— განა მე ბებერი ვარ? ჯერ ხომ სამოცი წლისაც არ ვიქნები, მაგრამ ხედავ, ჭაღარა როგორ მომერია, ბალანი გამცვივდა... განა ასეთი შეხედულობისა ვიყავ, როცა ელვასავით დავეცემოდი ნადირებს და ადამიანებს?..

და ლომმა ერთი ისეთი ღრიალი მორთო, რომ მხდალი ანთილოფები, მიუხედავათ იმისა, რომ ლომი მაგარ გალიაში იყო, შიშით ერთმანეთს მიეკვრენ.

— ჩვენა ვნადირობთ ღამღამობით, განაგრძო მან, დავდევთ უფრო დიდრონ ნადირებს, წვრილფეხობას იშვიათად ვერჩით. ყოველთვის ვეტანებით უფრო იმ ადგილებს, სადაც ცხოვრობენ კამბეჩები, ჯეირნები და ანთილოფები. როცა ამათ ხელში ვერ ჩავიგდებთ, მაშინ იერიში მიგვაქვს მენახირეებზედ, რომ-



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებსაც ერთ ადგილიდან მეორე ადგილზე გადაჰყავთ საქონელი. ამ მენახირეებს ისე ვუყურებთ, როგორც ჩვენ ქვეშერდომებს, რომელნიც მოვალენი არიან გვაძლიონ სარკი—შინაური ცხოველები. მართალია, თავის ნებით არას დროს არ გვაძლევენ, მაგრამ ჩვენ იმათ დაუკითხავათაც ვიტაცებთ.

— ვერ წარმოიდგენთ, რა სახსოვრები დამრჩა ერთი ჩვენი ნადირობა. ვარსკვლავებით მოჭედილი საამური ღამე იყო. გამოვედით ჩვენ ბუნაგიდან ჰაერზე, დავიწყეთ ენოსვა, ხომ საიდანმე არ მოისმის ნახირის სუნი თქო? რა ბედნიერება იყო: ჩვენ ასლოს ზანგები დაბანაკებულიყვენ, დაედგათ დიდრონი ბაკები, ძეელალათ შიგ საქონელი, ეურის მგდებლათ ძაღლები მიეყენებიათ და თითონ არხეინათ ძილს მისცემოდენ. ქურდულათ, კატასავით, მივიპარე ბანაკთან, დავიზნიქე, მერე ერთი ვისკუპე და უმალ გავჩნდი ბაკში. ძაღლებმა ხმა არ გამცეს, მარტო საზარლათ ღმუოდენ, შეშინებული საქონელი აქეთ-იქით აწყდებოდა.

— ზანგები ცრუ მორწმუნეები არიან: ეშინიანთ ნადირთ მეფის ხელის ხლება და შიშით ევედრებიან სოლმე თავიანთ ღმერთებს, მალე მოგვაშორე აქედან ეს ჰირუტყვიო. ჩემმა გამჭრიახმა თვალმა მალე შენიშნა ჯეელი, გასუქებული ძროხა, მაშინვე შევახტი ზურგზედ, ჩაუმტვრიე ყერხემალი, გადავუღრღნი კისერი, ჩავავლე კბილები ჩემ მსხვერპლს და ერთ წამს კაცის სიმაღლე ღობეზედ გადმოვხტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როცა ნახირი ახლო-მახლო არსად არ იყო, მივდიოდი წყალზე, სადაც წყლის დასალევათ ჩამოდიან ხოლმე ანთილოფები და სხვა და სხვა ნადირები. თავის დღეში არ მახსოვს, რომ ერთი დღე უვახშმოთ დავრჩენილიყავი,—ყოველთვის მაძღარი ვიყავ. ტყუილათ კი არ მეძახიან „ნადირთა მეფეს“.

— მართალი უნდა გითხრა, დიდი ავაზაკი ხარ! —უთხრა მაიმუნმა.—ხანადიროთ რომ გამოხვალ, მთელი ტყე შიშის ზარს მიეცემა ხოლმე, ფაფარს გაიშლი, კუდს აქეთ-იქით აწყვეტ, თვალები ცეცხლისავით განათებული გაქვს, ისე ღმუი, თითქო ქუხსო... ვინ იცის, თქვენში, როგორ ტირიან, რომ შენ, ბიძია ჩემო, აქ, ამთონ მთის აქეთ გადმოვარდნილი და დამწყვდეული ხარ!...

— დაჩუმდი შე უბედო, შენა, შენი იღბალი, რომ ამ მაგარ გალიაში დამწყვდეული ვარ, თორემ გაჩვენებდი სეირს

— მე ვარ უბედი? აი შე უმადლო! სამჯერ სიკვდილს ვინ გადაგარჩინა თუ მე არა? რატომ მაშინ არ მლანძღავდი და უბედს არ მეძახდი?

— სიკვდილს გადამარჩინეო?... დაიღმუილა საზარლათ ლომმა—მთელი ღამე ვნადირობდი, დღე დასვენება მიყვარდა: დავწვებოდი თუ არა დაბურულ ტყეში და განმარტოებით მოსვენებას მივეცემოდი. მაშინ შენისთანა მუქთახორა მაიმუნები ამიტყდებოდენ, იმათგან მოსვენება არა მქონდა: ხან ქოქუსის კაკლებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესროდენ, ხან ტოტს, ხან ჩიტის ბუდეს; ამისათვის სამაგიეროს მეც ვუხდიდი, როცა კი ჩემ ტოტებში ჩამიკარდებოდენ... ადამიანები თავგანწირულათ ნადირობენ ჩვენზედ. რამდენიმე კაცი ერთად, კიდევ ხო. ის უფრო საკვირველია, რომ მოიპოვება რომელიმე ისეთი გულადი, რომელსაც არ ეშინიან ჩვენი დაბნელებული ბუნაგისა და იქაც მოგვნასამს.

— უნდა გამოვტუდე, რომ ყველაზედ უფრო იმათი გვეშინოდა. ისენი ჩვენზედ ნაკლებათ არ არიან გულადნი, მოხერხებულნი და გაფთხილებულნი. მართალია, ღამე, როცა მშიერი ვიყავი, ახლოც ვერავინ მომეკარებოდა! დღე კი სულ სხვაა: მე არ შემიძლიან ავიტანო მზე, მცხელა, დიდი სიამოვნებით ვისვენებ და სულ უსალისოთ გავდივარ სანადიროთ. როგორც კი განსაცდელი მოგვიახლოვდებოდა, ეს ბედშავი მაიმუნები, მაშინვე შეამჩნევდენ; ასტეხავდენ ჟივილ-ხივილს, აქეთ-იქით აწუდებოდენ, უაზროთ ფუსფუსს მოჰყვებოდენ და მონადირეების დაცინვას. ამითი ჩვენ უმალვე მივხვდებოდით, რომ მტერი ახლოს იყო და ვცდილობდით თავის დაცვას.

— ნეტავი მცოდნოდა, რომ ამდაგვარი ჩვენი მოქმედება შენ განსაცდელიდან გიხსნიდა, სულ ტოტებს დავიკვნიტდი და შენ კი არ დაგეხმარებოდი!—იჭუანებოდა მაიმუნი. ლომმა მაიმუნის შენიშვნას ყურადღება არ მიაქცია და განაგრძო:—ჩემ სიცოცხლეში ყველაზედ შესანიშნავი ის დრო იყო, როცა მე ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახობით ციცაბო-კლდის ძირს ვცხოვრობდი. რო-გორ გვიყვარდა მე და ჩემ ძუს ჩვენი წვრილ-შვი-ლი, უფრო საყვარლები იყვენ ის ულონო ჰატარე-ები, როცა ჩვენი ხელით ჰირში ხორცს უდებდით. შემდეგ, როცა მოიზარდენ, ცოცხალ ცხოველებსაც უზი-დამდით და ვასწავლიდით იმათზე ნადირობას. ბო-ლოს, როცა საკმაოთ გამაგრდებოდენ, ღონეს მოიკ-რეფდენ, წავიყვანდით საქონელზე სანადიროთ. ჩემმა ვაჟიშვილმა ჰირველათვე ეოჩაღათ მოიტაცა ხბო, ქა-ლიშვილმა—თხა.

— ამას შემდეგ ეოველ ღამ ერთად დავდიოდით სანადიროთ. აბა, რა დაგიმალოთ, ნახირი სულ გა-ვანადგურეთ! იქამდის მივიდა საქმე, რომ ჩვენ წი-ნააღმდეგ მთელი ჯარი გამოგზავნეს; უთვალთვალეს ჩვენ ბუნაგს, გარს შემოერტყენ და თოფებით ხელში შიგ მოგვიმწყვდიეს.

— აბა, შვილებო, ცოლო, მოემზადეთ გასტომას, ვუთხარი მე.

ამ დროს მოისმა თოფების გრიალი. ჩემი ცო-ლი და ქალი ერთ ადგილას გაჩერდენ, ვაჟი გავარდა გარეთ, მეკი, მართალია საშინლათ დაჭრილი ვიყავი, მაგრამ მაინც ხუთიოდ კაცი დავბუბნე და როგორც კი დავაპირე გასტომა, ერთბაშათ წინ შემეფეთა თვალებ დაბრიალებული ვიღაც კაცი, რომელიც დამაშტერდა; ცოტა არ იყოს შეკრთი. ამით მტრებმა ისარგებლეს და სეტყვასავით ტყვიები დამიშინეს... ძალიან დამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭრეს, სისხლიდან ვიცლებოდი, დავარდი ძირს და ადგომა ვეღარ მოვახერხე. ცოცხალ-მკვდარი ამიყვანეს და ჩამაგდეს გალიაში და აქ მომიყვანეს.

— ამას შემდეგ მე თავისუფლება აღარ მღირსებია!

(რუსულით) **ვ. მიქაბერიძისა.**



ეროვნული
ბიბლიოთეკა

საკვირველი ჭიები.

ციის მთელი ტანი ათი გრგოლისაგან შესდგებოდა, ამ რგოლების საშუალებით იგი იკუმშებოდა და იშლებოდა.

წინადან ჰქონდა სამი წყვილი ფეხი, შუაზედა და უკან ხუთი წყვილი უფრო მსხვილი და ბალან შესხმული, ბოლოდან, მეორე რგოლზე, ჰქონდა აწეული ჰატარა რქა.

ბოლოს და ბოლოს ჭიები წმინდა სანთელივით გახდენ, და მოუსვენრათ აქ-იქ ეცემ-დენ, თითქო საითკენღაც მაღლა იწევიანო.

დედამ ელოს ამოატანინა ბაღიდან თუთის ტოტები. დაუწყეს თუ არა, მაშინვე ჭიები თავპირის მტვრევით აცოცდენ ტოტის წვერებზე, და დაიწყეს რაღაც მუშაობა.

ელო დააკვირდა და შენიშნა, რომ ჭიები აქა-იქ თავის ქნევით აბამდენ ქსელს ტოტებ შუა, და თითონაც შიგ ეხვევოდენ.

ელოს უკვირდა, საიდან გამოჰქონდათ ამოდენი ძაფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედამ აუხსნა, რომ ეს ძაფი პირიდამ ამოსდის ჭიას. კიდევ დიდხანს გაკვირვებული უყურა ელომ, და ვერ მიხვედრილიყო, რისთვის ებმეოდენ ჭიები ქსელში, რისთვის იხშობდენ თავისუფლებას.

მეორე დღეს ელო რო შევიდა ჭიების ოთახში გაჰკვირდა. მას ჭიების მაგიერ თუთის ცახებზე დახვდა, მტრედის კვერცხის ოდენი, ყვითელი პარკები.

— ხედამ, დედა, ჭიები აღარა მყავს.

— შენი ჭიები პარკებში წვანან.

— მერე როგორღა გამოძვრებიან მაგ პარკებიდან.

— მანდ ეგენი სამუდამოთ დაიძინებენ; მერე მაგათ ტყავიდან კუკები გაჩნდებიან.

— ნუ თუ მართლა?

— ჰო, მსოლოთ იმისთანა კუკები კი არა შენ რომ გყავს, ღიმილით უპასუხა დედამ.

— მერე როდის მოხდება ეგ?

— კუკები თითონ არ გამოიჩეკება, როგორც მატლი, და თუ გინდა ნახო, ერთი ჭიის პარკი გავჭრათ, ჯერ კი ცოტა ადრეა, თავისი მუშაობა არ დაუმთავრებიათ.

ამას შემდეგ ელო დარჩა უსაქმოთ პირველში, თუმცა ძალიან გაბეზრებული იყო თუთის ფოთლის ზიდვით, მაგრამ მერე ისე შეეჩვია თავის ჭიებს, რომ არაფრათ აგდებდა ამ შრომასაც. ამ ხანებში თუთაც დამწიფდა, და ელო სიამოვნებით შესქცერდა იმას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა თუთის ხეებმა ბევრი ასიამოვნეს ელო, ჯერ თავის საუვარელ ჭიებს ჰკვებამდა ფოთლით, ახლა კიდე თითონ მიირთმევდა მშვენიერ მწიფე თუთას.

რამდენიმე დღის შემდეგ დედამ გასჭრა ერთი ჭიის პარკი და აჩვენა ელოს კუკი. ეს სრულებით არ ჰგავდა წინანდელ მატლს, რაღაც პატარა წაბლის ფერი იყო, ტანზე რგოლები ჰქონდა, მას არც თვალი, არც ფეხი არ ეტყობოდა.

ელო სულ სხვას მოელოდა და ეს სრულებით არ მოეწონა.

— რას აკეთებს ეს კუკი პარკში? ჰკითხა ელომ დედას.

— ამათ პარკში ღრომდის ეძინებათ, შენ კიდე ცოტა მოთმინება იქონიე და გაიგებ რა იქნება კუკის თავს.

ამოდენი ლოდინით ელო მობეზრდა და სრულებით მიანება თავი კუკებსაც და ჭიის პარკებსაც.

ერთხელ, როდესაც ელო თამაშობდა ბაღში, ჭიის ოთახიდამ დაუძახა დედამ. ელო გაიქცა დედასთან, შეაღო თუ არა კარი, დაინახა ლამაზი თეთრი ფეფელები დაფრინამდენ ფანჯარაზე.

[illegible]

— უი, რა კარგი ჰეჰელებია, საიდან გაჩნდენ?

— აბა გაშინჯე ჭიის ბარკი. იქნება შენ თითონ მიხვდე.

ელოთ ნახა, რომ რამდენიმე ჭიის ბარკს ჭქონდა ნახვრეტი, შიგნით კი ცარიელი-ღა იყო.

— მაშ იმ მახინჯ კუკიდან გამოვიდა ეს მშვენიერი ჰეჰელა? შეჰკივლა ელოთ სიხარულით.—მერე როგორ გამოვიდენ ამ მაგარ ბარკებიდან?

— ჰეჰელა იმისთანა სითხეს იღებს ბირიდან, რომ ბარკი ლბება, ქსელი წუდება, და ასე, ამნაირათ იკეთებს ბარკიდან გამოსასვლელ გზას. ელო გაკვირვებული შესცქეროდა ჰეჰელებს, მერე ჩაირბინა ბაღში, ამოიტანა თუთის ტოტები ჰეჰელებისთვის.

— შენ ტეუილათ მოგაქვს თუთის ტოტები, ღიმილით უთხრა დედამ, — ეგენი მაგას არ შესჭამენ.

— მაშ რა უნდა ვაჭამოთ?

— არა ფერი.

19905
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ არაფერი, განა შეიძლება უჭმელები იყვენ?

— ესენი არასა სჭამენ, და არც დიდხანს ცოცხლობენ.

მართლაც, მეორე დღეს, ელომ ნახა ქაღალდზე, რიგრიგობით ჩამწკრიებული, პატარ-პატარა ნაცრის ფერი კვერცხები, სწორეთ იმისთანა, როგორიდანაც სულ პირველში გამოვიდენ ჭიები.

ჰეჰელები სამ დღეს სდებდენ კვერცხებს, მერე დაიხოცენ. თუმცა ძალიან ენანებოდა ელოს ლამაზი ჰეჰელები, მაგრამ რა გაეწყობოდა.

მან მოკრიფა ჭიის პარკები, ლამაზი ჰეჰელის კვერცხები და შეუტანა დედას.

— ამ კვერცხებიდანაც დაიბადება, დედა, ისეთივე ჭიები, როგორიც მევანდენ?

— ჰო, შვილო, სწორეთ იმისთანები, ესლა კი არა, მერძის, გაზაფხულზე, მხოლოდ უნდა მშრალ და გრილ ადგილას შეინახო, ბოლოს, გაზაფხულზე, გეყოლება ჭიაც და ლამაზი ჰეჰელაც.

— ამ ჭიის პარკებს რაღა უყოთ?

— ეგ შეგიძლიან შენ მეგობრებს დაურიგო, და უამბო, როგორ კეთდება აბრეშუმის ჭიის პარკი. ბევრი რომ გვქონდეს, გავხსნიდით ქარხანას, მოვქსოვდით ლენტებს, ფარჩას, ხავერდს და კიდევ ბევრ სხვა რამეებს.

— რას ამბობ, დედა, მერე როგორ მოვქსოვდით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როდესაც აბრეშუმის ჭია გაათავებს ჰარკის გაკეთებას და თითონ შიგ გადაიქცევა კუკათ, მაშინ ამ ჰარკებს მზეზე ახმობენ. ცოტა ხნის შემდეგ ამ ჰარკებს ჩაჭერიან ცხელ წყალში.

— რათა? კუკები ხომ დაიხოცებიან.

— რასაკვირველია დაიხოცებიან, ამიტომაც ჭერიან ცხელ წყალში.

— მერე ხომ ის მშვენიერი ჰეპელები ვეღარ დაიბადებიან, ჰკითხა დაღონებით ელოამ დედას.

— ჰეპელები გამოსვლის დროს ჰარკებს ხევენ, აფუჭებენ. მაინც და მაინც რამდენიმე ჰარკს არა ხარშავენ, არჩევენ სათესლეთ.

— მითხარ, ცხელ წყალში რაღათა ჭერიან ჰარკებსა?

— ოველი ჭიის ჰარკი, აუხსნა დედამ, ხელოვნურათ არის გაკეთებული, ძალიან გრძელი აბრეშუმის ძაფისაგან, მაგრამ ამ ძაფის ქსოვილები მიწებებულია ისე მაგრა ერთი რიგი მეორესთან, რომ მინამ ჰარკები ცხელ წყალში არ მოიხარშება, ძაფი თავისუფლად ვერ ამოესვევა.

— შემდეგ ძაფს ართამენ და ქსოვენ სხვა და სხვა აბრეშუმის ქსოვილებს. დაუმატა დედამ.

— მაშ შენ მართალს მეუბნებოდი, რომ ჩემი ლენტები, მაგათი გაკეთებულია. რა კარგები ეოფილან ჩემი ჭიები. ჩემი აბრეშუმის ხელცახოცი? შენი აბრეშუმის ხელთათმანები?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ჰო შვილო, ეგენიც და ბევრი კიდე სხვა, სულ მაგათი გაკეთებულია. შენ რომ ჭიის ჰარკები დაურიგო შენ ჰატარა მეგობრებს, უამბე კიდეც, როგორ გააკეთეს აბრეშუმის ძაფი შენმა ჰატარა სელოსნებმა—აბრეშუმის ჭიებმა.

ანიკო.

(დასასრული)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბუგული.

(რუსულიდან)



ორს, შორს, ტყეში, მწვანე კორდზე, იყო ერთი დიდი, ძველი ბუჩქი. ამ ბუჩქზე გაეკეთებინა ბუდე კაჭკაჭებს.

ერთ მაისის დღეს, როდესაც ბუდის გაკეთება გაათავეს კაჭკაჭებმა, ჩამოჯდენ იქვე, მოილაპარაკეს თავის შეკიწროებაზე, მერმე დედა კაჭკაჭმა სამი კვერცხი დადო.

— ძმვიდობით უდარდელო ცხოვრებავ, ახალგაზდობავ, თქვა მან და ღრმათ ამოიოხრა,—ახლა იწყება ტანჯვა და ზრუნვა ოჯახისათვის.

მამალი ანუგეშებდა მას, როგორც შეეძლო, დედალი გაჯავრებული ყურს არ უგდებდა.

— თქვენ ვერ გაიგებთ ჩვენ მწუხარებას, მარტო ლაპარაკით არაფერი არ გაკეთდება, აბა დაჯექით და გამოსჩეკეთ კვერცხები, თუ კარგია—დამეხსენ, ნუ მაჯავრებ, სჯობს ერთი სუქანი ბუზი დამიჭირო და მოძგვარო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოზე ხომ დედალი კაჭკაჭი სულ გაბრაზდა, მოთმინებიდან გამოვიდა.

— რო მცოდნოდა ასეთ გაჭირებაში ჩავარდები, შენ როგორ წამოგეყვებოდი, აღარ შემიძლია, აღარ შემიძლია, უნდა გავფრინდე სადმე შორს გადავიკარგო.

მამალი კაჭკაჭი ეურს უგდებდა გულგრილათ. უწინაც არა ერთხელ გაეგო ასეთი საუვედური, იცოდა რომ მისი მეგობარი მალე დამშვიდდებოდა.

— თუ გინდა წადი, იფრინე ცოტა, მაგრამ ეს მხოლოთ ჯერ-ჯერობით, მერმე კი კვერცხს ვეღარ მოშორდები, სანამ ბარტყები არ გამოიჩეკებიან კვერცხებზე უნდა იჯდე.

დედა გაფრინდა, მამალიც მას გაჰყვა. ბუდე ცოტა ხნით დაცარიელდა, ამ დროს მოფრინდა უცხო ჩიტი, ჩამოჯდა იქვე და ბუდე ბეჯითათ დაათვალიერა.



ეს ჩიტი კაჭკაჭზე დიდი იყო, ეავის ფერი ჰქონდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრი წინწკლებით გულზე და მუცელზე. ნისკარტში კვერცხი ეჭირა. ეს კვერცხი ბუდეში ჩაუდო კაჭკაჭებს, რადგან დარწმუნდა რომ მისი კვერცხი არ გა-ნირჩევოდა იმ კვერცხებიდან, რომელიც ბუდეში ელაგა.

ერთი კიდევ გადახედა უცნობმა ჩიტმა ბუდეს, მერმე აფრთხიალდა და ტეეში გაქრა. იქ, მაღალ ხე-ზე მას სხვა ჩიტი უცდიდა.

— ჩასდე სადმე ბუდეში კვერცხი? ჰკითხა მან მოსულს.

— კაჭკაჭის ბუდეში ჩავდე. კაჭკაჭი კარგათ მო-უვლის ჩვენს შვილს, ის მზრუნველი მშობელია.

— ჩვენ ისე მოვიქეცით, როგორც ჩვენ შეგვფერის, თქვა ჰირველმა ჩიტმა და ორთავენი გაფრინდენ.

კაჭკაჭები რო დაბრუნდენ ვერ შეამჩნიეს, თუ ბუ-დეში მეტი კვერცხია, ანგარიშში ცოტათი სუსტნი გახლდენ.

დედა-კაჭკაჭი მაშინათვე ჩაჯდა ბუდეში, მამამ გა-ლობა დაიწყო. მისი გალობა გაისმოდა მთელ ტეეში და ახარებდა ყოველ სულდგმულს.

ორი კვირის შემდეგ კვერცხებიდან გამოიჩეკა ოთხი ტიტველი ბარტყი. გამოსვლის უმალ დააღეს ჰირი და საჭმელი მოითხოვეს. მამამ დახედა შვილე-ბსა და სთქვა: „არც თვალი აქვთ, არც ნისკარტე-ბი, მაგრამ არა უშავსრა, სულ მალე მხედველობაც ექნებათ და საჭმელის შოვნაც შეეძლებათ თვითონ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა მშვენიერები არიან, თქვა ბედნიერმა დედამ.

მამამ შეხედა და დაცინვით მიუგო; —,,გახსოვს, როგორ გეზარებოდა კვერცხებზე ჯდომა და მაგათი გამოჩეკა?

— სრულებითაც არა, მე არ მითქვამს ეგა. გასწი, იშოვნე საჭმელი შვილებისათვის, ის ეჯობინება, ხომ ხედავ, როგორ აღებენ ჰირებს, ისე გეგონება კუჭს დაუნახავ, რომ ჩაიხედო ჰირში.

მამალი კაჭკაჭი გაფრინდა და ისევ მალე დაბრუნდა, კიდევ წავიდა, ასე მთელი დღეები დაფრინავდა საჭმლის საშოვნელათ. ბარტყები კი სულ ჰირ დაღებულები იყვენ, მათი გაძღომა არ იქნა. მადა საოცარი ჰქონდათ, მაგრამ ერთი ბარტყი ყველას სჭარბობდა, სულ ჭამაში იყო და ვერ ძღებოდა, მართალია სხვებზე უფრო ჩქარა კი იზრდებოდა ეს ბარტყი.

— რა კარგი კაჭკაჭი დადგება ეს ბარტყი, ამბობდა მამა და თანაც გადუსვამდა ნისკარტს ზურგზე.

— ნუ არჩევ შვილებს, ეტყოდა დედა მკაცრათ, ეს ჰატარები განა ცუდები არიან?

ერთ საღამოს მამა იჯდა ბუდესთან, სადაც დედა ბარტყებს ათბობდა.

— რა ძნელია ამოდენა ოჯახის შენახვა, თქვა მამამ;—ერთი შემოძხედე რასა ვგეკარ, ერთ წუთას ვერ ვიცლი, რომ გავიწმინდო ბუმბული, რამდენი ხანია არ მიგალობნია, წახდა დროება, ვეღარც ჰეჰელებს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვშოულობ, დღეს დილით დიდი სუქანი ჭია გამომტაცა ნიბლიამ. ახლა შენ-ც უნდა წამოძუვე სანადირო-ოთ რო წავალ. მარტო მე რა შემიძლია? შენ კი აქ გულ-ხელ დაკრეფილი ზიხარ ბუდეში.

— განა მე არას ვაკეთებ მიუგო დედაკაჭკაჭმა. განა მე შვილებზე არა ვზრუნავ? ნუ მოიწყენ, კარგი დღეებია, შვილები მალე ბუმბლით შეიმოსებიან, და მეც გამოგუვები სანადიროთ. გინდა, ხვალვე ერთათ წავიდეთ?

ამ დღიდან ორთავენი ერთათ ნადირობდენ, მაგ-რამ ახლაც არ ჰყოფნიდათ შვილებს საჭმელი, მაინც სულ ჰირებს აღებდენ, ჩხაოდენ და ერთმანეთს ეჩხუ-ბებოდენ, რომ მეტი რგებოდათ.

ა. ფ.

(დასასრული იქნება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პეტრიკა მოიწამლა!

კომედია ერთ მოქმედებათ

ფრანგულიდან.

მოქმედნი პირნი:

პეტრიკა (7 წლისა), პოლია, მისი და, (9 წლისა) და პეტრე (13 წლისა). სცენა წარმოადგენს დიდ ოთახს, დივანი დგას, მის წინ მაგიდა და კედელთან შკაფი.

გამოსვლა 1.

პეტრიკა (მარტო) სჭამს ვეება ქადას, რომელიც თეფშზე ძევს, სულ ცოტაღა დარჩენილა.

— რა ნაირად მიყვარს ყველიერები; სულო და გულო, რანაირ ქადებს არ აცხობენ ხოლმე!.. აი ეს თაფლიანი ქადაც რა გემრიელი იყო. (შეხედავს გაკვირვებით) ქერქიღა დარჩენილა, სულ ჩამიყლაპია! როგორ მოხდა, მე მხოლოთ გემო მინდოდა მენახა. ასე ერთბაშათ რამ გააქრო! რას იტყვის პოლია, ეს ქადა ხომ იმისი იყო!

გარედან მოისმის ხმა: პეტრიკა! პეტრიკა!

პეტრიკა. აი, სწორეთ ის მეძახის, უსათუოდ სასეირნოთ უნდა წამიყვანონ. სად შევინახო ეს ქადის ნაჭერი. (ერთ წამს შედგება შუა ოთახში თეფშით ხელში და დაფანტულივით აქეთ-იქით იტქირება) მართლა, იქვე შევინახავ, სადაც იყო (შკაფში შესდგამს თეფშს).

ხმა მოისმის გარედან. პეტრიკა! პეტრიკა!

პეტრიკა. მოვდივარ! მოვდივარ (აპირებს გასვლას, აღ დრეს შემოდის პოლია).

გამოსვლა II.

პეტრიკა და პოლია.

პოლია. აბა, პეტრიკა, წამოდი, დედა გვიცდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრიკა. (იწმენდს პირს და ხელებს ხელთსახოცით) წავიდეთ, მზათა ვარ.

პოლია. რათა ხარ აგრე დაბნეული, რა დაგემართა?

პეტრიკა. (მორცხვათ). მე ...არაფერი!

პოლია. რას აკეთებდი აქ მარტო, ჩაკეტილში?

პეტრიკა. მე? მე არ ვიყავ ჩაკეტილში.

პოლია. კარგი, კარგი. დაჩქარდი, ხომ გითხარი, რომ დედა გიცდის.

პეტრიკა. განა შენ კი არ მოდიხარ, პოლია?

პოლია. ხომ იცი, რომ დღეს სამშაბათია, ჩემი მეგობრები უნდა მოვიდენ. ჩვენი ბიძაშვილი პეტრეც მოვა. მე უნდა შინ დაუხვდე.

პეტრიკა. (თავისთვის) რა მეშველება, ხომ ნახავს ახლა. (ხმა მაღლა) მაშ არ მოდიხარ სასეირნოთ, რატომ?

პოლია. ხელახლათ გითხრა რატომ? გასწი ჩქარა! დედა მოთმინებიდან გამოვა. აღარ გინდა რომ დროზე დაბრუნდე, მოუსწრო საუზმეს.

პეტრიკა. მართლა, საუზმე დამიგვიანდება! დავჩქარდე, თორემ ველარ მოვუსწრობ. მივდივარ, მივდივარ. (შეხედავს კანჯინას და ჩუმათ ამბობს) რას იტყვის ჩემი დაია, რომ ნახავს?... (კარდის).

გამოსვლა III.

პოლია. (მარტო) ერთი დავხედო ქადას, ძალუა ჩემმა რომ გამოგზავნა—ამ შკაფში შევინახე (აღებს შკაფს და უცბათ შეჭყვირებს. წინ წამოდგება თეფშით ხელში) ეს რა ამბავია, ამას არ მოველოდი! ჩემი ქადა სადღაა! რაღა დარჩენილა! განა ეჭვია რომ ეს პეტრიკას ამბავი არ იყოს! იმ მსუნაგს, ადამიანმა ყველაფერი უნდა დაუკეტოს. იმიტომ დამიხვდა ის გარეტიანებული, დაფანტული, პირსა და ხელებსაც რომ იწმენდდა. მეტი მოთმენა აღარ შეიძლება, ასე ადვილათ აღარ შევარჩენ ავმუცლობას. ტყუილათ იმედი ნუ ექნება, რომ ჩვენ საუზმეზე მიუშვა. ეგ კიდევ არაფერი, მე უნდა სხვანაირად დავსაჯო... (აღელვებული დადის ოთახში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა IV.

ბოლია და პეტრე.

პეტრე. (შემოდის) რა დაგემართა ბოლია? რასა ჰღელავ?

ბოლია. ოჰ! შენა ხარ, პეტრე. გამარჯვება. (ჩამოართმევს ხელს).

პეტრე. რაზე ხარ აგრე გაჯავრებული.

ბოლია. აბა, როგორ არ ვიქნები გაჯავრებული, დახე ამ ქადას.

პეტრე. ეტყობა ოდესმე ქადა ყოფილა. ახლა რაღაც ნატეხები და ნამცეცები ჰყრია თეფშზე, ქადას არაფერი მიუგავს...

ბოლია. მშვენიერი ქადა იყო, დაბროწილი, სანახავათ ღირდა, ამ ერთი საათის წინეთ მომიტანეს ძალუა ჩემისაგან, ამ შკაფში შევდგი საუზმემდის და აი რასა ვხედავ.

პეტრე. ეს უსათუოდ ჩვეულებისამებრ მსუნაგი პეტრიკას ამბავი იქნება, მადა ძალიან კარგი აქვს.

ბოლია. განა! არ გავა ისე დღე, რომ მის მსუნაგობაზე არ ვიჩივლოთ. იმ ხუთშაბათს დედამ გახსნა მურაბის ქილები და სანამ პირს მოაკრამდენ პეტრიკამ მოასწრო თითების ჩაყოფა და იმის ლოკვა.

პეტრე. უცნაურათ სცოდნია იმას მურაბის ჭამა.

ბოლია. გუშინ სადილზე გვქონდა შოკოლადის ტკბილეულობა და სანამ მოგვიტანდნენ პეტრიკამ მოახერხა ადრევე მისი შეჭმა.

პეტრე. ბატონი პეტრიკა ეტყობა არავის ერიდება, თავის ქეიფის ადამიანი ყოფილა.

ბოლია. ახლა დღეს მიადგა ჩემ ქადას. ვის არ გამოიყვანს მოთმინებიდან? უნდა სეირი ვუჩვენო. თუ არ მოვუხერხე რამე—არ იქნება.

პეტრე. რას უზამ, ვერ წარმომიდგენია? მოდი საუზმეს ნუ ვაჭმევთ ჩვენთან.

ბოლია. მაგას არაფრად მიიჩნევს. იმან ადრევე მიირთვა, რაც ნებავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრე. ეგეც მართალია.

პოლია. სხვა რამე უნდა გამოვძებნო მის დასაჭკვიანებლათ.

პეტრე. რას აპირებ?

პოლია. დამაცა, აი რას ვაპირებ! ერთი აზრი მომივიდა თავში. ქადებისა და ტკბილეულობის მოყვარულს უსათუოდ მწარე უნდა ეზიზღებოდეს. ერთხელ რა ვაი ვაგლახით დაალევინეს წამალი. ყოველ დილით დედა სვამს რაღაც მწარე წამალს. წარმოიდგინე, იმ დღეს პეტრიკამ მოითხოვა მეც დამალევინეთო, ეგონა რომ რაკი დედა სვამს უსათუოდ გემრიელი უნდა იყოსო. რანაირად დაიღმიჯა გემო რომ ნახა. უნდა უსათუოდ იმისი მსგავსი რამე დავალევინო, მაგრამ საქმე იმაშია, როგორ მოვახერხო... დაიცა, საშუალება ვიპოვე... დარჩი აქ... ამ წამსვე მოვალ. (საჩქაროდ გადის).

გამოსვლა V.

პეტრე. (მარტო) ნეტა რას აპირებს? სად წავიდა? (შეხედავს ქადას) კარგათ კი გაუსაღებია პეტრიკას ეს ქადა. რაც უფრო ტკბილი ყოფილა ის მიურთმევია, ან იქნება ვერ მოასწრო მაგის შეჭმაც. პოლია მართალს ამბობს, უნდა უსათუოდ გადავაჩვიოთ მსუნაგობას.

გამოსვლა VI.

პოლია. (შემოაქვს კოლოფი და მაგიდაზე სდგამს).

პეტრე. ეგ რა შემოიტანე?

პოლია. არა ხედავ, კოლოფია კანფეტებით.

პეტრე. მერე რათ გინდა?

პოლია. ნახავ რათაც მინდა. ჯერ ეს ქადა თავის ადგილას დავდოთ, პეტრიკამ ეჭვი არ აიღოს, რომ გვინახავს. (ქადას ისევ ინახავს).

პეტრე. ამ კოლოფს რაღას უზამ.

პოლია. უნდა საჩენ ადგილს, მაგიდაზე, დავდო. პეტრიკა რომ შემოვა უსათუოდ დაინახავს და მოინდომებს კოლოფის ახდას და მერე... (ყურს უგდებს). ხმა მომესმა. ასე მალე როგორ დაბრუნებულა? გავიდეთ საჩქაროთ აქედან, რომ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვნახოს. წამო დედასთან, უნდა უთხრა ჩემი განძრახვა, უსათუოთ ისიც გვიშველის.

პეტრე. არ მესმის რას აპირებ. (ორივენი გადიან).

გამოსვლა VII.

პეტრიკა (შემოდის). კარგია, დიდხანს არ მომიგვიანდა. წვიმაც კაი დროს მოვიდა. მეშინოდა უჩემოთ არ ეჭამათ საუზმე. სწორეთ კაი დროს მოვედი. ოჰ, რა ბევრი ტკბილეულობა გვექნება დღეს ამ სტუმრების წყალობით. პოლიამ არ შემიშვა თავის ოთახში, მაგრამ თვალი მოვკარ, დიდი სამზადისია. რა უბედურება იქნება, თუ არ მიმიშვებენ იმ საუზმეზე. მაგრამ... ვაიმე, ის ქადა? რას იტყვის პოლია? ადვილათ მიხვდება რომ ჩემი შეჭმულია. (მიდის შკაფთან) ქადა ისევ ისეა, როგორც დავტოვე, ჯერ არ უნახავს, უსათუოდ ახლავე შემოვა მის წასაღებათ. (დაინახავს კანფეტის კოლოფს) დახე, დახე, რა უნდა იყოს შიგ. (აღებს კოლოფს) კანფეტები ყოფილა! ნეტა, ვინ დასდო ამ მაგიდაზე, საუზმისთვის თუ მოუმზადებიათ. რა სანდომიანათ გამოიყურებიან ეს კანფეტები. (შესჭამს ერთს) მერე რა გემრიელიც ყოფილა! (დაბარაგში თითო-თითოს შეექცევა) ეს თეთრები მშვენიერია, პირისფერები ხომ უფრო უკეთესებია. ისე გემრიელია, რომ არ ვიცი რომელი რომელს სჯობს. მგონი კი პირისფერი აჯობებს. დახე, დახე, ამას შოკოლადის გემო აქვს, მწვანეებიც ყოფილა, ამასაც არა უჭირსრა. საუზმის დროს ხომ არ მერგება, რომელიც მინდა, ქალიშვილები დაიტაცებენ ხოლმე საუკეთესოს. მშვენივრათ შევექეცი, მეყოფა. დავხურავ კოლოფს, მგონი ვერას შეატყობენ. არა, ერთს კიდევ შევჭამ, სულ ძირს რა მშვენიერი ყოფილა, ის უფრო გემრიელი იქნება. (განაგრძობს ჭამას. ეურს უგდებს) ხმაურობა მოისმის. ჩქარა, ჩქარა, კოლოფი დავხურო და თავის ადგილას დავდო. (იდებს ხელში წიგნს, ვითომ კითხულობს).

გამოსვლა VIII.

პოლია (შემოდის თავისთვის) დედა დამპირდა, გიშველიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგონი საქმე კარგათ მოვაწყე. (ხმა მაღლა) აჰ! შენა ხარ, პეტრიკა! რას აკეთებ აქ, მერე სულ მარტო?

პეტრიკა (მორცხვათ) არაფერს, ნახატებს ვშინჯავ.

პოლია. მართლა? კარგია. (იდებს კოლოფს ხელში) ღმერთო ჩემო, რასა ვხედავ, კანფეტი ვილასაც შეუჭამია.

პეტრიკა. (სწრაფად) მე არა!

პოლია. უფრო კარგი, თუ შენ არ გიჭამია!

პეტრიკა. (ისევ სისწრაფით) არა, არა, ღმერთმანი, მე არ მიჭამია!

პოლია. მჯერა, რომ შენ არ გიჭამია.

პეტრიკა. ხელიც არ მიხლია.

პოლია. ძალიან შევწუხდებოდი, რომ შენ ხელი გეხლო.

პეტრიკა. მერე, რათა?

პოლია. იმიტომ, რომ ეგ კანფეტები მოწამლულია.

პეტრიკა (შიშით) მოწამლულია!

პოლია. ხო და, ეგ იმიტომ იყიდეს, რომ თაგვის სოროში უნდოდათ ჩაედოთ მათ მოსაწამლავათ.

პეტრიკა (იმეორებს) მოსაწამლავათ!

პოლია. შენ რა, ხომ ამბობ, ხელი არ მიხლიაო.

პეტრიკა (ტირილით და ჩურჩულით) უნდა გამოგიტყდე... უნდა გითხრა...

პოლია. რაო! რა უნდა მითხრა?

პეტრიკა. (ისევ ჩურჩულით) უნდა გამოგიტყდე... მარტო გემო ვნახე.

პოლია. თუ მარტო გემო გინახავს—არა უშავსრა. მაგრამ თუ გიჭამია, თუნდ სამი, ან ოთხი.

პეტრიკა (შიშით და ტირილით) იქნება სამზე და ოთხზედაც მეტი მეჭამოს.

პოლია (თავისთვის) თუ სიმართლის თქმა უნდა—სჯობია თქვას, სამი ან ოთხი დიუჟინი ვჭამეო. კოლოფი თითქმის დაცარიელებულია (ხმა მაღლა) ოპ! თუ მართლა მაგდენი გიჭამია, ძალიან საშიშია... ჩქარა, ჩქარა უნდა ექიმი მოვიყვანოთ. დრო გადის, გვიანდება (საჩქაროდ გადის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრიკა (მარტო). ღმერთო ჩემო, მოვიწამლე! რას მოვიფიქრებდი. მერე რა გემრიელი და კაი კანფეტები იყო. (მუცელზე ხელს იდებს, იშინჯავს). მართლა, რაღაც მემართება... საძაგლათა ვარ...

პოლია (შემოდის) ჩვენი სახლის ექიმი სადღაც შორს, სოფელში, წასულა. მაგრამ ჩვენ ბედზე მეზობლათ სხვა გამოჩენილი ნასწავლი ექიმი ყოფილა. გავგზავნე იმის მოსაყვანათ. ახლავე მოვა. ჩემო საბრალო პეტრიკა, ტკივილები გაწუხებს?

პეტრიკა (ცრემლმორეული). არა ვიცირა.

პოლია. ნეტავი ექიმი შინ დაუხვდეს. ღმერთო ჩემო, რა უბედურებაა! (შეწუხებული დადის ოთახში და თითებს იმტვრევს). რა უბედურება გვეწვია! რა უბედურებაში ჩავარდით! დამაცა, დაგაწვინო მოსვენებით. (სავარძელს მოათრევს წინ სცენაზე, გარედან შემოაქვს ბალიშები, ადაგებს სავარძელზე, აწვენს პეტრიკას ზედ, ისიც არ ეწინააღმდეგება) ახლა ხომ უფრო მოსვენებითა ხარ?

პეტრიკა (სუსტი ხმით) ჰო, გმადლობ.

პოლია. დამაცა ცოტა, (მოხდის ქუდს და თავს შეუხვევს ხელსახოცით. თან ჰირს იბრუნებს რომ არ გაეცინოს). ყველაფერი მოვაწყე... (ყურს უგდებს). ზარი ჩამოჰკრეს, ექიმი იქნება. (მიდის კარებთან).

გამოსვლა IX.

პეტრე შემოდის ექიმის ტანისამოსში. შავი ჩასაცმელი, წოწოლა ქუდით, გრძელი თმებით, დიდრონი სათვალებით და განიერი, თეთრი საყელოთი.

პოლია (თავისთვის) დედას რა სასაცილოთ მოურთავს, სანაძლეოს დავდებ, რომ მაგას ვერავინ იცნობს. (ხმა მაღლა) გამარჯვება, ექიმო! (დაბალი ხმით პეტრეს) ხომ მოახერხებ, როგორც დაგარიგა დედამ?

პეტრე. ნუ გეშინიან. (თავისთვის) სწორეთ წუხელის გადავიკითხე ძალათ ავათმყოფის ამბავი. (მაღლა, ბოხი ხმით) გამარჯვება, ყმაწვილო, რა ამბავია! რა დაგემართა?

პოლია. მე დაგიბარეთ, ბატონო ექიმო, ეს ჩემი ძმა პეტრიკა ძალიან ავათ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრე (ჩაახვევებს) ჰუ, ჰაე! რა დაემართა?

პოლია. მოწამლული კანფეტები უჭამია.

პეტრე. ოჰ! ოჰ! ეს ცუდი ამბავია! (ჰოლიას) თუ გაქვთ, მიჩვენეთ ის კანფეტები!

პოლია. აი, ბატონო ექიმო, დახედეთ! (უჩვენებს კოლოფს, ჰეტრე შესჭამს ერთ-ორს).

პოლია. (ფიცხლავ) ფრთხილათ, ექიმო, თქვენც არ მოიწამლოთ.

პეტრე (მედიდურათ) ჩვენ, ექიმები, მოვალენი ვართ თავი გავწიროთ ავათმყოფებისთვის. რომ ვიცოდე კიდეც, რომ სიკვდილი მომელის, მაინც უნდა გავშინჯო ამ კანფეტების გემო, თორემ, როგორ შევიტყობ რითი მოიწამლა და რა წამლით შეიძლება თქვენი ძმის მორჩენა. ნუ გეშინიანთ, საწამლავი მე არ მომეკარება. (კიდევ სჭამს კანფეტს). რა მშვენიერი ყოფილა ეს კანფეტი. (ჰეტრიკას) ბევრი ჭამეთ?

პეტრიკა (უხალისოთ) არ ვიცი.

პეტრე. როგორ თუ არ იცით. მაშ ვინ უნდა იცოდეს, ისე როგორ მოგარჩენთ! აბა, რამდენი? თქვი! სამი?—ოთხი?...

პეტრიკა (დაბალის ხმით, შერცხვენილი) მეტი.

პეტრე. ხუთი?... ექვსი?..

პეტრიკა (ისევ დაბალის ხმით) უფრო მეტი.

პეტრე. რვა?.. ათი?.. თორმეტი?..

პეტრიკა (ისევ ისე) ნამდვილათ არ ვიცი რამდენი, ხოლოთ ბევრი კი ვჭამე.

პეტრე. გეტყობათ, ტკბილეულობა გყვარებიათ. მე მგონია, ბატონო პეტრიკა, რომ კანფეტებს უფრო გულმოდგინეთ სჭამთ, ვიდრე გაკვეთილებს ამზადებთ.

პეტრიკა. სწავლა ძნელია, ჭამა კი ადვილი.

პეტრე. კარგათ არი ნათქვამი! აბა, მიჩვენეთ ახლა თქვენი ენა. (ჰეტრიკა გამოჭყოფს ენას) ენა კარგი არა გაქვთ (ჰეტრიკა ამოიოხრებს) არა უშავსრა, მაშ რის ნასწავლი ვართ, რომ არ გიშველოთ. აბა, რა ადგილასა გტკივათ?

პეტრიკა. არ ვიცი სწორეთ. (ხან ერთ ადგილს იდებს ხელს, ხან მეორეზე) მგონი აი აქა მტკივა, აი აქაცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრე (თავისთვის) გასაკვირველი არ არი. ქადით გამძღარა მერე აუარება კანფეტები უჭამია, რასაკვირველია სტომაქში არეულობა მოხდება. (პეტრიკას მიუბრუნდება) გული ხომარ გერევათ

პეტრიკა. ცოტათი.

პეტრე (თავისთვის) მაშ არ იქნება. (ხმა მაღლა) თავიცა გტკივათ?

პეტრიკა. მტკივა.

პეტრე (თავისთვის) ჰგონია რომ ყველაფერი სტკივა, ისე შეშინებულია. (ხმა მაღლა) ჰუმ, ჰუმ! აბა ენა კიდევ მიჩვენე. (პეტრიკა გამოჰყოფს ენას) კარგი, კარგი.

პოლია. საშიში ხომ არაფერი არ არის, ექიმო?

პეტრე. (მედიდურათ) საშიში! მეკითხებით, საშიშია თუ არა! იცოდეთ, ავათმყოფობა ყოველთვის საშიშია. ხუმრობა არ შეიძლება, დროზე უნდა წამლობა. ჰუმ, ჰუმ. მაგის ბედი იქნება, თუ გადურჩა. (პეტრიკას ერთმევს ხელს). აბა ერთი მაჯა უნახო. (იდებს საათს და უშინჯავს მაჯას). მაჯა აჩქარებული აქვს, მაგრამ ჩვენ ვეცდებით დავამშვიდოთ. (ხელს მიიბჯენს ნიკაპზე და რამდენიმე ხანს დრმად ჩაფიქრებულია).

პოლია. რას იტყვით, ექიმო?

პეტრე. მომეცით ქაღალდი, წამალი უნდა დავუწერო. (მოუჯდება მაგიდას და სწერს. ბოლია ამ დროს უსწორებს პეტრიკას ბალიშებს, მერე შუბლზე ჰკოცნის).

პოლია. საბრალო ჩემო პეტრიკა!

პეტრიკა (ნაღვლიანათ) მე ძალიან ავადა ვარ?

პოლია. ხო, ავადა ხარ.

პეტრე. აი, წამალიც დავუწერე. (ბოლიას) მოატაინეთ საჩქაროთ, მე თვითონ დავალევინებ, ოღონდ ჩქარა მოატაინეთ.

პოლია. ამ წამში, ექიმო. (გადის საჩქაროთ).

გამოსვლა X.

პეტრიკა. არა მეშველებარა, მოვკვდები, ბატონო ექიმო?

პეტრე. არა, არ მოკვდები. მა რის გამოჩენილი ექიმი ვარ, თუ არ მოგარჩენ. კიდით კიდემდე გათქმულია ჩემი სახელი. განა ჩემი ავადმყოფი აგრე ადვილათ მოკვდება? არა, ამ ხელათ არ მოკვდები, თუ ჩემ გამოწერილ წამალს დალევ ღდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადილობამდის არაფერი არ უნდა სჭამო, წამალი სვი ხოლმე.

პეტრიკა. წამალი! როგორ მეჯავრება ეგ წამალი?

პეტრე. რა გაეწყობა! კვლავ ნუ იქნები მსუნაგი, ავმუცელა.

გამოსვლა XI.

პოლია. (შემოდის სავსე ჭიქით ხელში, თავისთვის). დედამ მომცა თავისი შესანიშნავი მწარე წამალი. (მიუბრუნდება პეტრეს) აი, თქვენი გამოწერილი წამალი, ექიმო.

პეტრე (აიღებს ხელში ჭიქას) გმადლობთ! (შინჯავს წამალს, მაღლა ასწევს სინათლეზე ჭიქას და უცქერის) კარგია, მშვენიერია! (მიუტანს პეტრიკას.) აბა, ჩემო პაწია, დალიე ესა.

პეტრიკა. როგორ! მთელი ჭიქა!

პეტრე (გაჯავრებით) რაღას უყურებ, არ გესმის?

პეტრიკა. არ შემიძლიან, არა.

პეტრე. როგორ თუ არ შეგიძლიან! მაშ გინდა რომ მიგატოვო აგრე გაფუჭებული სტომაქით, წელები მოშლილი გაქვს, აღარც კუჭი გივარგა, აღარც გული...

პეტრიკა. (სიჩქარით, შეშინებული) არა, ჩემო ექიმო, სჯობია დავლიო (მიაქვს ჭიქა პირთან და უკანვე წამოიღებს) არ შემიძლიან, საძაგელია.

პეტრე. მა როგორ გნებავს, რომ მოგარჩინო?

პეტრიკა. (ამოოხვრით, ხელმეორეთ მიიტანს ჭიქას ტუჩებთან, ტოტს მოსვამს და ხელახლათ უკუაგდებს). ოჰ! რა მწარე ყოფილა! სწორეთ ისეთი მწარეა, როგორიც დედა ჩემის წამალია.

პოლია. გაბედე, ჩემო პეტრიკავ, დალიე. წარმოიდგინე რომ ჭიქით ლიმონადია.

პეტრიკა. არ შემიძლიან, არა და არა.

პეტრე. როგორც გნებავდეს, მე ახლავე წავალ. თუ აგრე იყო, რათ მიბარებდით.

პოლია. ნუ წახვალთ, ბატონო ექიმო, დალევს ახლავე წამალს.

პეტრიკა. (სიჩქარით) არა, ნუ წახვალთ, ბატონო ექიმო!

პეტრე. მაშ დალიე.

პოლია. აბა, პეტრიკავ, თავს ძალა დაატანე... (ხელახლათ აძლევს ჭიქას).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრიკა. (მოსვამს რამდენიმე წვეთს) ღმერთო, რა მწარეა!

პეტრე. წამალი ყოველთვის მწარეა.

პოლია. აბა, ბარემ დალიე.

პეტრიკა. რომ იცოდე, დაიავ, რა საძაგელია.

პოლია. არ შეიძლება, თუ გინდა მორჩენა, უნდა დალიო.

პეტრიკა. სხვაფრივ ვერ მოვრჩები?

პოლია. ხომ ხედავ არა, ექიმი ამბობს.

პეტრიკა. რავქნა, მომეცი.

პეტრე. წამალმა უნდა გარგოს, ნუ იღმიჭები!

პეტრიკა. (მოსვამს ცოტას, მერე შედგება. მორცხვათ ექიმს ეტუვის) ხომ მეყოფა, ექიმო?

პეტრე. როგორ თუ გეყოფა, ერთი ცვარი რას გიზამს.

პოლია. ნუ გვახვეწნინებ, ჩემო პეტრიკავ, გაბედე და გადაჰკარ ერთიანად. (ჰეტრიკა სვამს).

პეტრე. გიყურებთ. ნულარ იგვიანებ.

პეტრიკა. (შეაუნებს სმას). ახლა კი ბევრი დავლიე, ექიმო, განა უსათუოდ სულ უნდა გავათავო?

პეტრე. რა საკითხავია. მე არ გითხარი, რომ სულ უნდა დალიო. უნდა გიხაროდეს, რომ ამითი გადურჩები სიკვდილს. (ჰეტრიკა იდებს ჭიქას და სვამს).

პეტრე. დაჩქარდი, ბატონო პეტრიკა! განა მე იმოდენა დრო მაქვს, რომ აქ ვიდგე და შენ გიყურო. (მედიდურათ) რამდენი ავათმყოფი ელის ჩემისთანა გამოჩენილ ექიმს. დალიე ჩქარა, თორემ მე აღარ ვიქნები პასუხის გებაში, თუ შენმა ავმუცლობამ თან გადაგიტანა.

პეტრიკა. (სიჩქარით) ვსვამ, ბატონო ექიმო, ვსვამ.

პეტრე. ნულარ უყურებ, ჩქარა. (ჰეტრიკა იჭუანება, მაგრამ აცარიელებს ჭიქას.) აბა, აგრე უნდა. ჩემმა ხელოვნურათ წამლობამ გადამარჩინა სიკვდილს.

პოლია. რა ბედნიერებაა' ახლა კი მორჩები.

პეტრე. ხოლო სადილობამდის არაფერი უნდა ჭამოს.

პოლია. ცოდვაა. არ იქნება რომ ცოტა ისაუზმოს ჩვენთან.

პეტრე. ცოტა შეიძლება, ხოლო ძალიან ცოტა. მაგრამ იცოდეთ, თუ ამ ავათმყოფობის შემდეგ მსუნაგობით გახდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ ავათ—მე ველარ მოვარჩენ. ბედი შენი, რომ ჩემისთანა გამოჩენილი ექიმი შეგხვდა, თორემ სხვის ხელში, ვინ იცის რა დაგმართნოდა.

პოლია (ალბებს ექიმს.) დიდათ გმადლობთ, ექიმო.

პეტრიკა. გმადლობ ექიმო!

პეტრე. შვიდობით, ჩემო პაწიებო, შვიდობით. (გადის).

გამოსვლა XII.

პოლია (ალბის ბალიშებს პეტრიკას) აბა, ახლა ხომ კარგათა ხარ.

პეტრიკა. (წამოდგება და დადის) მგონი, რომ სულ კარგათა ვარ.

პოლია. გული ხომ აღარ გერევა?

პეტრიკა. არა.

პოლია. არც მუცელი გტკივა?

პეტრიკა. სულ კარგათა ვარ.

პოლია. ხედავ, ახლა სრულებით კარგათა ხარ, მგონი კვლავ მსუნაგობას მოიშლი?

პეტრიკა. რომ იცოფე რა საძაგელი წამალი იყო, მეორეთ როგორღა გავიხდი ასე საქმეს. რაც უნდა მომცენ—ბევრს არასა ვჭამ.

პოლია. მეორეთ აღარ ახლებ ხელს აღარც კანფეტებს და აღარც ქადას?

პეტრიკა. ქადას! შენ რა იცი?

პოლია. მაგაზე ნუღარას ვილაპარაკებთ.

პეტრიკა. ნუ, ნუ ვილაპარაკებთ.

გამოსვლა XIII.

პეტრე. (შემოდის თავის ტანისამოსში გამოწყობილი) პოლია, შენი მოწვეული ამხანაგები მოვიდენ.

პოლია. წავიდეთ ჩქარ-, შევექცეთ საუზმეს (დაბლა პეტრეს ეუბნება) ჩვენ საიდუმლოს ნუ გავამხელთ.

უველანი სიმდერით გადიან.

ან. წერეთლისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ღდგომაა, მოდით, ძმებო,
ვილხინოთ და ვიალერსოთ,
დღეის დღეს მაცხოვარივით
ვეცადოთ რამე დავთესოთ.

—

ეს პაწია კარმიდამო
შემოვწნათ და შემოვლობოთ,
შიგ შევიდეთ ხან ვიშრომოთ
და ხან კიდევ ვილაღობოთ.

—

დავრგათ ქორფა ყვავილები,
ავაყვავოთ ვარდი ია,
მაცხოვარმა ხომ ყვავილებს
ცრემლი ცვარად დააფრქვია.

—

ყვავილები ყრმებს მიუძღვნა
თვითონ დარჩა ეკალ-ნარი,
რითაც გვირგვინი დაადგეს
და აწამეს მაცხოვარი.

—

იქნებ ჩვენგანს მოძღვარივით
შუბლი სისხლით გაგვიბანონ,
ნუ შევდრკებით, თუნდ იმაზე
უარესადაც გვაწამონ.

—

სიბოროტე ვერას გვიზამს,
სიმართლეში არის ძალა,
უნდა აღდგეს დაცემული
უეჭველად დღეს თუ ხვალა...

შ. მღვიმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯიუტი თხა

მამინ-სიბირიაკისა

II

შვიდობიანად ცხოვრობდა მხიარული დურგალი, მუშაობდა და მღეროდა. ნელ-ნელა, შეუმჩნევლად, სახლში უბედურება შემოეპარა: ცოლი ავად გაუხდა, ერთ-ორ კვირას იწვა და მერე გარდაიცვალა. მწარედ ტიროდა საწყალი დურგალი, დადიოდა წინდაუკან თავის ქოხში და მოსთქვამდა:

— ეხლა როგორღა უნდა ვიცხოვრო? ოჰ, რა დამემართება?

მეზობლები შემოდიოდნენ მასთან, ანუგეშებდნენ და ეუბნებოდნენ:

— თავს რაზედ იკლამ? ღვთის მადლით ყველაფერი საკმაოთ გაქვს, მარტოც კარგათ იცხოვრებ.

— მართალია, არაფერი არ მაკლია,—ტირილით ამბობდა დურგალი, მაგრამ როგორ უნდა ვიცხოვრო, როდესაც დიასახლისი, თანაშემწე მეგობარი, აღარა მყავს?

ტირის საწყალი დურგალი, ნუგეში არ ეკარებოდა მას. ცოლი დაასაფლავა და ისევ მუშაობას შეუდგა, მაგრამ ის მხიარული სიმღერა კი აღარ ისმოდა. ჩუმათ მუშაობდა და მწუხარება ნელ ნელა უღრნიდა გულს.

დურგლისათვის მარტო ცხოვრება ძნელი იყო. ოჯახის მოსავლელად ერთი ღარიბი მოხუცებული დედაკაცი შემოი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვანა სახლში. ყველაფერს მარტო ხომ თითონ ვერ გაუძღვებოდა? მაგრამ იმის ოჯახის საქმე უკუღმა დატრიალდა: არც დროზე სადილი ჰქონდა, საჭმელიც უგემური, საქონელი მშიერი, ბოსტანი მოუვლელი...

— ჩვენი საქმე ცუდათ არის,—ბუტბუტებდა მამალი და შიმშილით ნისკარტს ატკაცუნებდა.—შეიძლება შიმშილითაც ამოვიხოცოთ. ქათმებიც ჩიოდენ, კვერცხის დებას უკლეს.

მშიერ ძროხას რძე გაუშრა, ცხენი გახდა, ყველანი ჩიოდენ. მარტო თხა იყო გაჩუმებული, ან რა უნდა სთქვას? როცა დიასახლისი ცოცხალი იყო, ყველანი კმაყოფილი იყვნენ; ის აღარ არის, მაშ უნდა მოითმინონ.

მეზობლები, რომელთაც უწინ დურგლის კარგი ცხოვრება შურდათ, იძახდენ:

— ჩვენ გვეგონა, რომ დურგალი ჭკვიანი კაცი იყო!— ბოსტანი ააოხრა, საქონელს შიმშილით ხოცავს, სახლში უსუფთაობაა, აბა რა ჭკვიანია დურგალი?

უფრო კეთილი მეზობლები დურგალთან შემოდიოდენ, სიბრალულით უყურებდნენ მას და ეუბნებოდნენ:

— ჩვენ ჭკვიანი გვეგონე...

თვითონ დურგალიც კარგა ხედავდა, რომ ყველაფერი ხელიდამ ეცლებოდა, ხალისი არა ჰქონდა მიეხედნა სახლისთვის. ყველაზე ძნელი იმისთვის საღამოობით მარტო დარჩენა იყო. დურგალმა დაიწყო მეზობლებში სიარული.

— ხალხში გავერთობი და დროც მალე გაირბენსო.

უწინ დურგალი ღამღამობითაც მუშაობდა და დროც მალე გარბოდა, ეხლა კი საქმეები ხელუხლებლად ეწყო.

— ხვალაც მოვასწრებ,—აიმედებდა თავის თავს დურგალი.—საქმე ხომ მგელი არ არის, რომ ტყისაკენ თვალი ეჭიროს.

საქმეც ხელიდამ უსხლტებოდა: ერთი ვადაზე ვერ შეასრულა, მეორე სხვამ წაიღო, მესამე აღარ მისცეს. დურგალი კი ასე ფიქრობდა: მე ხომ ისევ ისეთი კაცი ვარ, ეს სულ სხვების მტრობაა. მეზობლებს ჩემი მდგომარეობა შეშურდათ... არა უშავსრა, ამასაც გაუძლებ! ყველაფერს სხვას

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბრალებდა. საქონელსაც უწყრებოდა: რატომ ძროხა რძეს აღარ იწველის, რატომ ცხენი უწინდებურათ კარგა არ დადის, რატომ ქათმები კვერცხს აღარა სდებენ.

— რად მინდა ეს საქონელი?—უიმათოთაც კარგა ვიცხოვრებ, გაიფიქრა დურგალმა. უსიამოვნობის და ხარჯის მეტს რას მარგებენ.

ბოლოს გათავდა იმით, რომ ერთ დღეს ცხენი და ძროხა გაჰყიდა.

— სულელი ყოფილა ეს დურგალი,—იძახდნენ მეზობლები;—ნეტაი ვინა სთქვა, რომ ჭკვიანიაო, მთელს ოჯახს აოხრებს.

მეზობლები თავისას იძახდენ, დურგალი კი თავისას ფიქრობდა. უწინ სხვა დრო იყო და ისიც სხვა კაცი იყო. ეხლა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აღარაფერი არ უნდა. დეე ყველაფერი დაიღუპოს, ვის რა დავა აქვს, თითონ შეიძინა და თვითონვე აოხრებს.

უცხენოთ და უძროხოთ ცხოვრება უფრო გაჭირდა: იმათი წყალობით ქათმებიც მაძღრები იყვნენ, თაგვებსაც რამდენიმე მარცვალი ქერი შეხვდებოდათ ხოლმე, თხაც იმათი ნარჩენით ძღებოდა. მამალმა ხმა მაღლა ჩივილი დაიწყო.

— ცხოვრება გაგვიჭირდა, ჩვენი პატრონი სწორეთ სულელია!

მტრედები ეზოში დადიოდნენ და ერთ მარცვალ საკენკს ვერ პოულობდნენ. ბეღურები ჯავრობდნენ და იძახდნენ:

— სადაური სახლკარის პატრონია, რომ ბეღურას სამყოფი საკენკიც არ გააჩნია? იქამდინ მიგვიყვანს, რომ ყველანი მოვშორდებით, სხვასთან წავალთ. დეე, მარტოკა დარჩეს და როგორც უნდა ისე იცხოვროს.

— ჩვენც წავალთ, წრიპინებდნენ თაგვები.

ყველანი აჯანყდნენ, უკმაყოფილონი იყვნენ, მარტო ბებერი ჯიუტი თხა გაჩუმებული იყო. ისიც სხვებსავით ნახევარზე მშიერი იყო, ხშირად მეზობლებთან შეიპარებოდა ხოლმე საჭმლის საშოვნელად და ზოგჯერ მწარე ჯოხები მოხვდებოდა. მაგრამ თხა ძალიან სულგრძელი იყო და უკვირდა, რომ მეზობლებს არ ესმისთ, რომ მშიერია და ამასაც ჭამა უნდა; სად თივას მოიტაცებდა, სად ბზეს, სად კარგ ჯოხებს იგემებდა, ყველაფერს კაცი ვერ ჩამოსთვლის.

— რა შეუპოვარი რამ არის,—იძახდნენ მეზობლები.— თავის პატრონს ჰგავს, იმასავით გაქსუებულია...

დურგალი ყველაფერს ხედავდა, ყველაფერი ესმოდა, მაგრამ გაჩუმებული იყო. რა ექნა, დეე წავიდნენ, იმისთანა დრო ხომ იყო, როდესაც ყველა კმაყოფილი და მაძღარი იყვნენ. ეხლა მშიერ თაგვსაც კი საკმაოთ არა აქვს საჭმელი! დურგალმა დაინახა, რომ ბეღურები მეზობლებში გადაფრინდნენ, რა ექნა, მოუთმენარი ხალხია! იმათ მტრედები გაჰყვნენ. ყველაზე ბოლოს თაგვები დაიძრნენ. ერთი ბებერი თაგვი სარკმელთანაც მივიდა თავის პატრონთან გამოსათხოვებლათ—თავი გაიქნია და უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვერ იქცევი კარგად, ბატონო! ვერა... სულ შენი ბრალია... ჩვენ გვეგონა, რომ ჭკვიანი კაცი იყავი.

— წადით, წადით! ეუბნებოდა დურგალი.—მე არ გიჭერთ, მომშორდით.

— ჩვენ კიდევ დავრჩებოდით,—იძახდა თაგვი,—მაგრამ იმ წყეულმა ციცუნიამ საქმე გაგვიჭირა. უწინ სრულებით არ გვაწუხებდა, ეხლა კი ბელელიდამ ფეხს არ იცვლის. როცა დიასახლისი ცოცხალი იყო და სახლში ძროხა გყავდათ, მაშინ კატას რძეს აჭმევდით. ოჰ! ბატონო, ბატონო, ძალიან ცუდათ წაიყვანე შენ შენი საქმეები!

მართლაც რომ ციცუნია ძალიან დამშეული იყო. ზის ხოლმე ბუხართან და წამოიკნავლებს:

— ციცუნიას რძე... რძე უნდა...

— მე შენ იმისთანა რძეს მოგცემ, რომ თავი ველარ იცნო! უჯავრდებოდა ბებერი დედაკაცი,—შეხედე ამ აზიზს! წადი, თაგვები დაიჭირე. აი შენი ხელობა.

ნაღვლითა და შიმშილით საცოდავი ციცუნია სულ ჩამოხმა, ბალანი გასცვივდა, თვალები ამოეწირპლა, ერთი სიტყვით დამახინჯდა, გარეთ გამოდიოდა და კნაოდა..

— დიასახლისი აღარ არის, აღარც რძეა.

მურიაც დაღონდა და კატას აღარ სდევნიდა. რა იმისი სცხელა, შიმშილით კუჭი ეწვის, ფერდები აქვს მიკრული, თითქოს პატრონი ვერა ხედავს... კაი მოუვა კარგი რამ ის არის! უწინ მარტო საღამოობით მეზობლებში მიდიოდა, ეხლა კი დილითვე სადღაც იკარგება, სახლში მარტო დასაძინებლათ შემოდის. ერთხელ დილით მოვიდა მთვრალი, კარებთან ჩამოჯდა და ატირდა.

— ჩემი თავი მეზიზღება, მომწყინდა ცხოვრება.

მურიას პატრონი შეეცოდა, ახლოს მივიდა და მიეალერსა.

— შენა ხარ, მურია?

პატრონი მოეხვია და უფრო ატირდა.

— მომწყინდა ცხოვრება, მურია! რაკი დიასახლისი მოკვდა, ოჯახიც ამოიხრდა, სახლი დაცარიელდა. ყველაფერი უხვად გვქონდა, ყველანი მაძღარი ვიყავით. ეხლა კი სახლში შემოსვლა მეზიზღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა უნდა ეთქვა მურიას? თავისი ბანxდვლიანი კუდი გაიქნია, პატრონს ხელები აულოკა და დაიღმუილა.

— ნაღველმა მომიღო ბოლო, მურიავ, თვალში აღარაფერი არ მომდის, არაფერი არ მეხალისება... საქმე ხელიდამ მივარდება.

თხა და მამალიც მოვიდნენ. თხა კიბესთან წამოწვა, მამალი კი ცალ ფეხზე დადგა და ყურს უგდებდა.

— ოო, თქვენც აქ დარჩით?... გაუკვირდა დურგალს.—რატომ თქვენც არ გაიქეცით.

— ეგ რამ გაფიქრა! გაჯავრდა თხა და თავისი გრძელი კიკინები გაიქნია.

— სად უნდა წავიდეთ? არ ვაპირებთ არსად წასვლას.

— შენი ქათმები სად არიან? ჰკითხა დურგალმა მამალს.

— შიმშილისაგან მეზობლებში დაიფანტნენ,—უპასუხა მამალმა და ფეხი იცვალა.—აქ რა უნდა გაეკეთებინათ, თაგვებიც კი წავიდ-წამოვიდნენ.

— თქვენც წადით, ყველანი წადით, მე აღარავინ არ მესაჭიროება.—ჩემი საქმე წასულია, დავიღუპე...

— მაგისი რა მოგახსენო,—უპასუხა მამალმა. მაგრან შენ ხომ იცი, რომ მე ხუმრობა არ მიყვარს —ერთი გვითხარით, სად უნდა წავიდეთ?

— შენი ნათქვამი არც მე მომწონს,—დაუმატა თხამ.

(დასასრული შემდეგ) ეკ. მ—სა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საფრანგეთის სახელმწიფო

და

საზოგადოებრივი წყობილება.

წერილი მესამე.



ოგორც წინა წერილებში დავინახეთ, რევოლიუციით ბურჟუაზიამ მოიპოვა პოლიტიკური უფლებანი, ის სახელმწიფოს სათავეში მოექცა; მაგრამ ძველმა წყობილებამ მას დაუტოვა ცალიერი ხაზინა და დაცემული წარმოება. საჭირო იყო ხაზინის შევსება და წარმოების აყვავება. წარმოების აყვავება მოითხოვდა ბაზარს,—თუ ნაწარმოებს მყიდველი არა ჰყავს, მისი ფულათ გადაქცევა შეუძლებელია. რევოლიუციით მოქანცული და ძველი რეჟიმით გაღატაკებული საფრანგეთი ძალიან სუსტ ბაზარს წარმოადგენდა, ამიტომ საჭირო იყო გარეშე ომი ახალი ბაზრის მოსაპოებლათ. დაცალიერებული ხაზინის შევსებაც ომს მოითხოვდა. ბურჟუაზიამაც ომს მიმართა. ამ ომის დროს სახელი მოიხვეჭა ახალგაზრდა გენერალმა ნაპოლეონ ბონაპარტმა. მან მოკლე ხანში დაამარცხა იტალია და ძლიერი ავსტრია, გადაახდევინა მათ დიდი ხარკი და ამგვარათ სახელიც მოუპოვა საფრანგეთს, ფულიც. საფრანგეთის ხალხმა გააღმერთა ახალგაზრდა გენერალი. საფრანგეთში არ მოიპოებოდა მეორე ადამიანი, რომელიც ამდენათ ჰყვარებოდა ხალხს. ნაპოლეონმა ისარგებლა ამით. მთავრობა ხელში ჩაიგდო, თვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თონ მოექცა სახელმწიფოს სათავეში და გამოაცხადა თავისი თავი საფრანგეთის იმპერატორათ. ნაპოლეონის იმპერატორობა თვითმპყრობელობის აღდგენას არ მოასწავებდა. ნაპოლეონი თვითონ ეკუთვნოდა ბურჟუაზიას, ის მტერი იყო ძველი წყობილებისა და კონსტიტუციის მომხრე; როგორც სარდალი, გენიოსი იყო და ამიტომ თვითონ ბურჟუაზიას არაფერი არა ჰქონდა იმისი წინააღმდეგი, რომ ნაპოლეონი იმპერატორათ ყოფილიყო. რევოლიუციამ დაარღვია ძველი წყობილება და უარჰყო მისი კანონები. განახლებულ ცხოვრებას შესაფერისი კანონმდებლობა ესაჭიროებოდა და ნაპოლეონმა შექმნა სამოქალაქო კანონები, ანუ ნაპოლეონის კოდექსი, რომელიც დღესაც საფუძველს შეადგენს საფრანფეთის ცხოვრებისას.

ნაპოლეონის წინააღმდეგ ამხედრდა ინგლისი, ავსტრია, გერმანია და რუსეთი. მტრებმა დაამარცხეს ნაპოლეონი და საფრანგეთის სამეფო ტახტზე აიყვანეს ბურბონების გვარეულობა. პირველი მეფე ნაპოლეონის შემდეგ იყო ლუდოვიკო მეთვრამეტე, სიკვდილით დასჯილი ლუდოვიკო მეთექვსმეტეს ძმა. ლუდოვიკომ გამოსცა ხარტია, რომელიც აღიარებდა საფრანგეთს საკონსტიტუციო სამეფოთ. ეს კონსტიტუცია ხალხს კი არ მოუპოებია თავისი ბრძოლით, ჩემი წყალობა არისო, დასძენდა მეფე. ამ ხარტიით პოლიტიკური უფლებანი მიენიჭა შეძლებულ თავადაზნაურობას და მდიდარ ბურჟუაზიას; მუშა ხალხი და წვრილი ბურჟუაზია ამ უფლებების გარეშე დარჩენ. საკანონმდებლო უფლება გარდაეცა პალატასა და სენატს. მინისტრები პასუხის მგებელნი იყვენ პალატის წინაშე. არჩევნების უფლება ჰქონდა მხოლოთ ოცდაათი წლის მამაკაცებს, თუ რომ ისინი იხდიდენ ყოველ წლიურათ არა ნაკლებ 300 ფრანკს *) სახელმწიფო გადასახადისა. დეპუტატობის უფლება კი ჰქონდა მხოლოთ ორმოცის წლის მამაკაცს, თუკი ის იხდიდა არა ნაკლებ 1000 ფრანკისა ყოველ წლიურათ. ეს ისეთი დიდი გადასახადია, რომ მთელს საფრანგეთში აღმოჩნდა მხოლოთ 8,000 კაცი, რომელთაც კანონით დეპუტატობაზე

*) ფრანკი ოცდაჩვიდმეტ ნახევარი კაპეიკია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კენჭის ყრის უფლება ჰქონდათ. ამ გვარათ საფრანგეთის კონსტიტუციით სახელმწიფოს სათავეში მოექცენ მხოლოთ მდიდრები. ხალხმა სისხლი ჰღვარა და პირში ჩალა გამოვლებული დარჩა! თავადაზნაურობა და რეაქციონერები ნელა ნელა წელში გამაგრდენ და მოისურვეს ძველი წყობილების—თვითმპყრობელობის სრული აღდგენა. აქედან იწყება ბრძოლა რეაქციონერებსა და კონსტიტუციის მომხრეებს, ანუ ლიბერალებს შორის. რეაქციონერებმა მიმართეს ეგრეთ წოდებულ „თეთრ ტერროორს"; ლიბერალებს ზოგს ფარულათ ჰკლავდენ, როგორც რევოლიუციონერები ჰკლავენ ხოლმე ქვეყნისათვის მავნე პირებს; სხვებს სამართალში აძლევდენ, ციხეებში ალპობდენ და სხვ. ყოველივე ამან ნელა ნელა აამხედრა ხალხი. 1824 წელს ლუდოვიკო XVIII გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა მისი ძმა, კარლოს X, რომელიც ნამეტანი რეაქციონერი იყო და ხალხის ყოველგვარი თავისუფლების დაუძინებელი მტერი. რეაქცია თანდათან გაძლიერდა, სამაგიეროთ ძლიერდებოდა საზოგადოებაშიც უკმაყოფილება. 1830 წელს, არჩევნების დროს, პალატაში უმრავლესობა ლიბერალები გავიდენ. მეფემ მალე დაითხოვა პალატა და დანიშნა ახალი არჩევნები. ხალხმა ისევ ძველი დეპუტატები აირჩია. მაშინ მეფემ დაითხოვა ახალი პალატა, რომელიც ჯერ არც კი შეკრებილიყო, თავისი ნებით შესცვალა საარჩევნო კანონები და გააუქმა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება. ამგვარათ მეფემ ერთის ხელის მოსმით მოსპო საფრანგეთში საკონსტიტუციო წყობილება. მერე რითი გასცა პასუხი საფრანგეთის ხალხმა? სიჩუმით, სილაჩრით და მორჩილებით? არა, რევოლიუციით. ერთ დღეს რომ მეფის ბრძანება გამოვიდა, მეორე დღეს პარიზში რევოლიუცია დაიწყო. ხალხმა მეფე დაამარცხა, განდევნა და ტახტზე აიყვანა ორლეანელი პრინცი ლუი-ფილიპე. ეს ამბები მოხდა ივლისში და ამიტომ ამ რევოლიუციას ეწოდება ივლისის რევოლიუცია. ივლისის რევოლიუციამ ლიბერალურ ბურჟუაზიას მოუპოვა სრული გამარჯვება. ამ დროს ის წარმოადგენდა მჭიდრო კლასს და ამიტომ გამარჯვებითაც ყველაზე უფრო მან ისარგებლა. რეაქციონერები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამუდამოთ დამარცხდენ. ახალმა მეფემ დაამტკიცა ძველი ხარტია, მხოლოთ საარჩევნო ცენზი შეამცირა ორას ფრანკამდე, წინეთ კი სამასი ფრანკი იყო. საფრანგეთში გამეფდა ბურჟუაზული წყობილება. ლუი-ფილიპე გახდა ბურჟუაზიის მეფეთ. ბურჟუაზია კმაყოფილი იყო ახალი წყობილებით; მაგრამ კმაყოფილი არ იყო მუშა ხალხი. ახალმა წყობილებამ ააყვავა საფრანგეთში წარმოება და მრეწველობა. ბურჟუაზიის ქონება სწრაფათ იზრდებოდა. მუშა ხალხის რიცხვი ძალიან გამრავლდა ქალაქებში და სამრეწველო ადგილებში; მისი მდგომარეობა კი აუტანელი იყო. მუშაობდენ თექვსმეტსა და ხშირათ თვრამეტ საათს, სამუშაო ფასი იყო მეტათ მცირე და სხვ. ნელა ნელა დაიწყო მოძრაობა მუშებში, რომელთა ინტერესების დამცველათაც გამოვიდენ პალატაში დემოკრატები ამგვარათ პალატა გაიყო ორ ნაწილათ: უმრავლესობა —ლიბერალები იყვენ, ბურჟუაზიის წარმომადგენლები; უმცირესობა—დემოკრატები იცავდენ მუშა ხალხისა და წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს. მუშებმა შეადგინეს სოციალისტური პარტია. სხვა და სხვა ალაგას დაიწყო მუშა ხალხის აჯანყება თავისი ცხოვრების გასაუმჯობესებლათ. რა ზომებს ხმაროობდა ბურჟუაზული მთავრობა მუშა-ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ? რეპრესიებსა და ტყვიას!

1848 წელს თებერვალში იფეთქა აჯანყებამ. ხალხმა გაიმარჯვა, განდევნა მეფე და მოიწვია ეროვნული კონვენტი, რომელმაც გააუქმა საფრანგეთში მონარქიული წყობილება და გამოაცხადა რესპუბლიკა. პირველ პრეზიდენტათ ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნა ლუი ნაპოლეონი. ლუი ნაპოლეონმა ნელა ნელა დაუწყო დევნა გამოჩენილ დემოკრატებსა და ლიბერალებს; ჯარის უფროსებათ დააყენა თავისი მეგობრები და მომხრეები და მალე თავისი თავი გამოაცხადა საფრანგეთის იმპერატორათ. ახალმა იმპერატორმა მოინდომა ყოველგვარი თავისუფლების ჩახშობა საფრანგეთში და ამ მიზნით გააძლიერა პოლიცია, გაამრავლა ჯაშუშები; საუკეთესო მოქალაქეებს ციხეებში ამოაყოფია თავი და ზოგი საფრანგეთიდან გადაასახლა; შემოიღო სასტიკი ცენზურა. თავისი ტახტის განსამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკებლათ და ხალხის გულის მოსაგებათ მან წაბაძა ნაპოლეონ პირველს და ხან რუსეთს ეომებოდა, ხან ავსტრიას, ხან ამერიკას. 1870 წელს მან გამოუცხადა ომი პრუსიას. ნაპოლეონი დარწმუნებული იყო, რომ ადვილათ გაიმარჯვებდა, მაგრამ პრუსიის ჯარმა ის სასტიკათ დაამარცხა ბელგიის სამზღვარზე, სედანთან და თავისი ჯარით ტყვეთ შეიპყრო. ამ ამბავმა გამოიწვია პარიზში ხალხის აჯანყება. ბურჟუაზიამ ისარგებლა ამ აჯანყებით, შეადგინა დროებითი მთავრობა და გამოაცხადა რესპუბლიკა. გერმანელები მოადგენ პარიზს და შემოარტყეს ალყა. რვა თვეს გამაგრდა პარიზი და შემდეგ იძულებული გახდა, დანებებოდა. საფრანგეთმა დაუთმო გერმანიას ელზასი და ლოტარინგიის აღმოსავლეთი ნაწილი და გადიხადა 5 მილიარდი ფრანკი ხარკი.

დროებითი მთავრობა დაბინავდა ვერსალში. პარიზში გაბატონდენ სოციალისტები. სოციალისტებმა მოიწადინეს დროებითი მთავრობის დამარცხება, ბურჟუაზული წყობილების მოსპობა და მის ნაცვლათ სოციალისტური რესპუბლიკის, ანუ კომმუნის დაარსება. კომმუნის მომხრეებსა და ბურჟუაზული მთავრობის შორის ასტყდა ჩხუბი და გაიმართა სისხლის ღვრა, რაც კომმუნარების სრული დამარცხებით გათავდა. რამ გამოიწვია კომმუნარების დამარცხება? იმან, რომ საფრანგეთის ხალხის უმრავლესობა კომმუნარების წინააღმდეგი იყო, მას კომმუნა არაფრათ ეპიტნავებოდა და ბურჟუაზიული რესპუბლიკის მომხრე იყო.

კომმუნარების დამარცხების შემდეგ საფრანგეთში დარჩა ორი ძლიერი პარტია: მონარქიული და ბურჟუაზიული. პირველის მიზანი იყო კუდმოკვეცილი კონსტიტუცია და მეფე, მეორისა კი ფართო დემოკრატიული კონსტიტუცია და რესპუბლიკა. რამოდენიმე წლის განმავლობაში ეს ორი პარტია ერთი მეორეს ებრძოდა. ამ ბრძოლაში გაიმარჯვა ბურჟუაზულმა პარტიამ, რომელმაც შეიმუშავა ახალი კონსტიტუცია 1875 წელს. ამ წლიდან იწყება საფრანგეთში რესპუბლიკანური წყობილების გაძლიერება. ამგვარათ რესპუბლიკა გამოცხადდა საფრანგეთში მეთვრამეტე საუკუნის გასულს, მაგრამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ის რამდენჯერმე გაუქმდა და რამდენჯერმე წამოსკუპდა ტახტზე იმპერატორი. ხან რესპუბლიკა იმარჯვებდა, ხან მონარქია, ხან თავისუფლების დროშა იყო მაღლა, ხან ძალმომრეობის. მხოლოთ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მონარქია სამუდამოთ დამარცხდა და რესპუბლიკანური წყობილება დამკვიდრდა მტკიცე ნიადაგზე.

საფრანგეთის სახელმწიფო წარმოადგენს დღეს რესპუბლიკას. ყოველი ფრანგი არის თავისუფალი მოქალაქე. რას წარმოადგენს დღევანდელი საფრანგეთის კონსტიტუცია? ჩვენ განვიხილეთ მოკლეთ ის პირობები, რომლებშიაც ვითარდებოდა საფრანგეთში რესპუბლიკანური წყობილება. შემდეგ ჩვენ განვიხილავთ იმ კონსტიტუციას, რომელიც საფუძვლათ უდევს დღეს საფრანგეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ივ. გომართელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უგულო გავში

(მონგომერისა).

XVI

ანამდის ჯორჯთან დაბრუნდებოდა, სერ ევერარდი თავის კაბინეტში წავიდა წერილების დასაწერათ.

ის ჩაჯდა სავარძელში და ჩაფიქრდა, არჩევდა, ვინ მოეწვია ამ გაჭირვების დროს, ვინ გაიზიარებდა მის უბედურებას და იწუხებდა მახთან ერთათ. უცებ ჩარლსი მოაგონდა და, თუმცა მისი ცოლის ძმა ზღვით შორს წასასვლელათ ემზადებოდა და მოსასვლელათ არ ეცალა, მაინც მაშინვე წერილი მისწერა და რამდენიმე დღით უერგემში დაჰპატიჟა. მერე ბავშების ოთახში წავიდა ვილლის სანახავათ. პატარა ვილლის ეძინა, გულში რამდენიმე ყვითელი თავ-თავი ჩაეხუტებინა; მის ლოგინთან კი ჯენი იჯდა, მოწყენილი და ნამტირალევი.

როცა მამამ აკოცა, ვილლი შეინძრა, თავ-თავები უფრო მაგრათ მიიკრა გულზე და ჯორჯის სახელი წაილაპარაკა.

— რა აქვს ხელში?—იკითხა სერ ევერარდმა.

— თავ-თავები!—მიუგო ჯენმა.—ამბობს, ეს ჯორჯმა მოწყვიტა, მერე დარგვა უნდოდა და დაავიწყდაო.

სერ ევერარდმა ისევ აკოცა თავის პატარა შვილს, მერე უთხრა ჯენს, ნუ გააღვიძებთ, რამდენიც ენდა ეძინოსო, და ჯორჯთან წავიდა. წიგნთ-საცავში უერგემის ექიმი დახვდა, სთხოვა, ჩემ შინაურებს შეატყობინე ლონდონელი ექიმების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყვეტილება, მე არ შემიძლიაო, და პატარა სასტუმროში შევიდა.

ჯორჯს ეძინა. სერ ევერარდი მიუჯდა დივანს და თავის ფიქრებს მიეცა. მას მოაგონდა ის დღე, როცა ჯორჯმა თავ-თავები მოგლიჯა, ბაღის ჭიშკარზე იჯდა და ჰქანაობდა, ვილლი კი დაღონებით შეჩერებოდა მოგლეჯილ თავ-თავებს.

— ნუ სწუხარ, ვილლი! ჩვენ ბაღში დავრგავ ამათ, მზიან ადგილზე! იქ უფროც გაიხარებენ!—ამბობდა მხიარული წკრიალა ხმა, რომელიც მალე სამუდამოთ უნდა შემწყდარიყო.

გაიარა რამდენიმე დღემ. ჯორჯი თითქმის სულ უგრძნობლათ იყო; ხშირათ ბოდავდა, ვითომ ხან ვილლის ელაპარაკებოდა, ხან თავისი დედის სურათს; ხან და ხან მამას იცნობდა ხოლმე, დაელაპარაკებოდა, ჰკითხავდა, რა არის სულ რომ რაღაც ხმაურობა მესმისო, მაგრამ სანამ მამა უპასუხებდა ხოლმე, ის ხელახლავ ჰკარგავდა გონებას და ისევ ბოდვას იწყებდა.

სერ ევერარდი მთელ საათებს, თითქმის მთელ დღეებს შვილის ლოგინთან ატარებდა, გაკვირვებით ისმენდა იმის ბოდვას, გაკვირვებით იგონებდა, როგორ შეხედა ჯორჯმა მაშინ, როცა მან ჰკითხა, რა იცი რომ ამ სურათზე დედა შენიაო... ნუ თუ ამ ბავშს მართლაც ახსოვდა, მართლაც უყვარდა თავისი მიცვალებული დედა?

ერთხელ საღამოს, როცა ჯორჯმა თავისი დიდი, შავი თვალები გაახილა და აზრიანათ მიაპყრო თავის მამას, სერ ევერარდმა მიიწია თავისი სკამი დივანთან და ჰკითხა:

— რაზე ჰფიქრობ, ჯორჯ?

— დედა მალე მოვა ჩემ წასაყვანათ?—ჰკითხა ბავშმაც სუსტი ხმით, მერე ისევ დაჰკარგა გონება.

სერ ევერარდს გული სევდით და მწუხარებით აევსო. რა საშინლათ ენატრებოდა ჯორჯს სიკვდილი! რატომ?

მეორეთ ბავში საშინლათ შეკრთა, უცებ გამოირკვა და კანკალით, შიშით შეაჩერდა მამას თავისი გაფართოებული შავი თვალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა იყო, ჩემო ბიჭიკო?

— შენ ხომ დამპირდი, არ გიექიმებო?

— ჰო, ჩემო პატარა.

— მე კი მომეჩვენა... თუ მესიზმრა, არ ვიცი... რომ ვრჩებოდი... და მაშინ...

— რა მაშინ? — ჰკითხა შეკრთომით სერ ევერარდმა, რომელსაც შეეშინდა, ვაი თუ ახლა მორჩენა მოენატრაო.

— მაშინ... ისე შემეშინდა! — დაათავა სუსტი ხმით ჯორჯმა.

მის მაგიერათ რომ დაემშვიდებინა, ამ სიტყვებმა კიდევ უფრო ააღელვეს და შეაწუხეს სერ ევერარდი.

— შეგეშინდა, ჯორჯ? — საყვედურით უთხრა მან. — შეგეშინდა ჩემთან დარჩენის?

— დაგავიწყდა, მამა, როგორი ვიქნებოდი, რომ მოვრჩენილიყავი?

— მე ვეცდებოდი, რომ მაინც ბედნიერი ყოფილიყავი, ჩემო ბიჭიკო. — სიყვარულით წაილაპარაკა საწყალმა მამამ. — ყველაფერი გექნებოდა...

სერ ევერარდმა არ დაათავა, რადგანაც შენიშნა, რომ ჯორჯი ყურს არ უგდებდა, თვალები დედის სურათისთვის მიეპყრო...

— დედა რომ ცოცხალი ყოფილიყო, მაშინ არ მოვინდომებდი სიკვდილს! — უცებ თქვა მან. — მთელი დღეობით მის კალთაში ვიჯდომებოდი, როგორც იქ, სურათზე...

— ახლა კი ჩემ კალთაში იჯდომებოდი, ჩემო პატარა.

— შენ კალთაში, მამა? შენ რომ ყოველთვის ვილლის ჩაისვამ კალთაში და მე არაოდეს?

— მე ვერც კი წარმომედგინა თუ შენ გესიამოვნებოდა ჩემ კალთაში ჩაჯდომა, ჩემო საყვარელო ბიჭიკო!

— ო, მე ხშირათ მომინდებოდა ხოლმე შენ კალთაში ჩაჯდომა და შენი მოალერსება, მაგრამ მე ვიცოდი, რომ შენ ვილლის მოალერსება უფრო გასიამოვნებდა.

— ნუ ამბობ მაგას, ჯორჯ, ნუ! — უნებლიეთ წამოიყვირა საწყალმა მამამ. — მე შენი ალერსიც ისე მესიამოვნებოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვილლის. თუ მას ყოველთვის კალთაში ჩავისვამდი, იმიტომ რომ ის შენზე პატარაა. რატომ გეგონა, რატომ, რომ მე მისი ალერსი უფრო მასიამოვნებდა?

— ისე მეგონა, მამა. სულ სხვანაირათ უყურებდი, სხვანაირათ ულიმოდი მას, ვიდრე მე. უფრო ხშირათ, ოო, ბევრათ უფრო ხშირათ ჰკოცნიდი მას, ვიდრე მე.

სერ ეევერარდი მზათ იყო შეეედრებოდა შვილს, გაჩუმდი, ნუ ლაპარაკობ, ნუ მტანჯავო. მან აილო ბავშის ახლა გამხდარი და დასუსტებული ხელი და სიყვარულით დაუწყო მას ალერსი.

— ვილლი პატარაა, ჩემო ბიჭიკო, იმიტომ ვკოცნიდი მას უფრო ხშირათ. როგორ წარმოვიდგენდი, თუ შენ ეს გეხარბებოდა!

— მეხარბებოდა?—გაკვირვებით ჰკითხა ჯორჯმა. — არა, სიხარბე ხომ ის არის, რომ გული მოგდის, მე კი ამისთვის არაოდეს არ მომსვლია გული ვილლიზე! იმას, საწყალს, ხომ დედა არ ახსოვს? მე კი მახსოვს. იმასაც ხომ უნდა რგებოდა რამე! მაგრამ... ხან და ხან... ჯორჯი შეჩერდა.

— რა, ჩემო პატარა?

— ხან და ხან... საშინლათ მინდოდა რომ დედა დაბრუნებულიყო!—თქვა ჯორჯმა და თვალებზე ცრემლები მოადგა.—ახლა კი... უცებ დაუმატა მან.—ახლა კი... მე თითონ წავალ მასთან.

და ბავშმა ისევ დიჰკარგა გონება.

სერ ეევერარდი მწარეთ ჩაფიქრდა. თურმე რა დაუფიქრებლათ იქცეოდა! რა ადვილი შესაძლებელი იყო, რომ შური და სიძულვილი ჩამოეგდო თავისი საქციელით ორ პატარა ძმას შორის, ჯორჯს რომ ცოტა სხვანაირი ხასიათი ჰქონოდა!

უნებლიეთ ის დაეშვა დივანთან, დაიჩოქა და მხურვალეთ დაუწყო კოცნა თავის საცოდავ ავათმყოფ ბიჭიკოს.

ჯორჯმა თვალები გაახილა და გაიღიმა.

— მომეჩვენა, თითქო დედასთან ვიყავი!—თქვა მან.—დედამ მკითხა, რა დაგაბარა მამამ ჩემთანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უთხარი, ჩემო პატარა, რომ მიყვარხარ, რომ საშინლათ მიყვარხარ და საშინლათ მეძნელება შენი მოშორება.

— მართლა, მამა?—უწინდელივით აღტაცებით და თავმომწონეთ წამოიძახა ჯორჯმა.—უთხრა დედას რომ შენ მეც ისე გიყვარვარ როგორც ვილლი?

— სწორეთ ისე როგორც ვილლი!—წამოიკვნესა სერ ევერარდმა.

ჯორჯმა სიხარულით გაიღიმა, მერე თვალები დახუჭა და წამოილაპარაკა:

— ხშირათ დამვიწყებია, მამა, შენი დაბარებულის გადაცემა, მაგრამ ახლა კი არ დამავიწყდება!

მეორე დღეს ჯორჯი ისევ გამოერკვა ბურანისაგან და ისევ აზრიანათ დაუწყო მამას ყურება თავისი დიდი შავი თვალებით.

— მამა!—თქვა მან.—იცი, რა?

— რა, ჩემო პატარა?

— ერთი რამე უნდა დამიწერო.

— რა, ჩემო პატარა?

— აი, ის ქალალდი... რა ჰქვია, მამა, იმ ქალალდს, სიკვდილის წინ რომ სწერენ ხოლმე? აი, რომელშიაც სწერია, ვის რას უტოვებენ?

— ანდერძი?

— ჰო, ანდერძი. მე გეტყვი და შენ დაწერე. მაგრამ დიდი ასოებით, ლამაზათ.

სერ ევერარდმა მისწია დივანთან მაგიდა და მოემზადა საწერათ.

ჯორჯმა დაიწყო:

„ჩემი ანდერძი“.

„ვუტოვებ ჩემ ჯაყვა დანას ჩემ ძმა ვილლის. ერთი პირი გატეხილი აქვს, მაგრამ მეორე სულ მთელია. ვირჟინის ნუ ეშინია, ეს დანა ვილლის არაფერს დაუშავებს, სულ დაჟანგულია მას აქეთ, რაც ერთხელ ჩვენ ძაღლს, კარლოს, იმითი ფრჩხილებს ვჭრიდი და მერე ეზოში დამრჩა, წვიმაში. დოლლიმ კარლოს მოუაროს და ჩემი ყვავილები არ დააჭკნოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ, მამა, გიტოვებ ჩემ ლოცვანს და მიკროსკოპს. ვირჟინის ჩემ დიდ ოქროს ქინძისთავს. ახლა ხომ მე აღარ გავიზდები და ველარ ჩავირჭობ იმას ცისფერ ყელსახვევში, როგორც ვაპირებდი. დოლლიმ ერთი და ერთი ჩემი წიგნი წაიღოს, ან „პიტერ პერლი", ან „მონადირე ბავშები". ,,პიტერ პერლი'' ვაი თუ ვერ გაიგოს, ,,მონადირე ბავშები'' კი ძალიან მოეწონება იქ ბევრ ცხოველებზეა ლაპარაკი, კურდღლებზე, ციყვებზე, გარეულ ღორებზე. მაგრამ არა, ორივე წიგნი წაიღოს. ვიცი, რომ გაუფრთხილდება და არ დაჰხევს.

რა მაქვს კიდევ? ჰო, ჩემ ბადეს, სასრიალოს და სათამაშოებს ვილლის ვუტოვებ.

სადღაც ორი პენსიც მაქვს. თუ იპოვოთ, პატარა ტომს მიეცით და უთხარით, რომ ახლა ის ბევრათ უფრო მეცოდება, ვიდრე უწინ. ჩემ საწყალ ჩხიკვსაც მოუარეთ. ვიცი, რომ უშნო და ავია, კორტნაც იცის, მაგრამ რა უჭირს, მაინც მოუარეთ, ჩემი გულისთვის, როცა მე აქ აღარ ვიქნები. მთელ ქვეყანაზე იმას ხომ ჩემს მეტი მეგობარი არ ჰყავდა. არ ჯობს რომ ტომს მისცეთ? იმან უკეთ იცის, რა არის კუტობა, რა გლახაა ყოველთვის ერთ ადგილას ყოფნა—და უკეთ მოუვლის.

ჩემი ყვავილი, ფანჯარაზე რომ დგას ქოთნით, ჯენს მიეცით. მორწყვა ხშირათ უნდა. მე დღეში ხუთჯერ ვრწყავდი ხოლმე, მაგრამ მაინც არ გაიხარა. იქნება ნამეტანი წყალი სწყენდა. ჯენმა თითონ იცის, როგორ მოუაროს.

გათავდა, მგონია. მეტი აღარაფერი მაქვს. მშვიდობით, ყველას გემშვიდობებით, ყველას.

— დაწერე, მამა, ყველას გემშვიდობებით?—იკითხა ჯორჯმა.

— დავწერე.—აკანკალებული ხმით მიუგო სერ ევერარდმა.—რა დავწერო კიდევ, ჩემო ბიჭიკო?

— აღარაფერი, მამა. მაგრამ ხომ ხელი უნდა მოვაწერო?

— შეგიძლია, არ მოაწერო. თუ გინდა, მე მოვაწერ შენ მაგიერათ.

— ყველა ჩემი სახელი მოაწერე, მამა, ჯორჯიც, ევე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რარდიც, ჩარლსიც. იიმე! რამდენი სახელი მქვია! უცებ უწინ-დელივით მხიარულათ წამოიძახა მან.

— ჯორჯ-ევერარდ-ჩარლს-დენკომბი - თქვა სერ ევერარ-დმა და ხელში კალამი აიღო.

— მოიცა, მამა, იქნება ჩემით მოვახერხო მოწერა.

— სცადე, ჩემო პატარა!—ამოიოხრა სერ ევერარდმა, რომელმაც კარგათ იცოდა, რომ ჯორჯი ამას ვერ მოახერ-ხებდა.

ჯორჯი თითონაც მალე დარწმუნდა, რომ თავისი სურ-ვილის ასრულება არ შეეძლო და ისევ მამას მოაწერინა ხელი.

— შეინახე ეგ მამა, ჯერ-ჯერობით! — სთხოვა მან მამას. —ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი ანდერძი დავწერე,— დაუმატა მან და მოსვენებით თვალები დახუჭა.

ნახევარ საათს იქით სერ ევერარდს წერილი მოართვეს. წერილი ჩარლსისაგან იყო.

„საყვარელო ევერარდ!—სწერდა ცოლის ძმა. რამდენი-მე თავისუფალი დღე შემხვდა და მინდა ისინი თქვენთან ერ-თათ გავატარო, უერგემში. ჯორჯს გადაეცი, რომ იმედი მაქვს მკის დღესასწაულს მოვუსწრებ და სთხოვე საცეკვაოთ ლამა-ზი ქალი ამომირჩიოს. შენი ჩარლსი''.

სერ ევერარდმა დახედა, რა რიცხვში იყო გამოგზავნილი წერილი, რადგანაც ეტყობოდა, რომ ეს მისი წერილის პა-სუხი არ იყო. მართლაც, ნახა რომ წერილი დიდი ხნის იყო.

— ჯერ არაფერი არ იცის!—ამოიოხრა მან.—როგორ ეწყინება, როცა გაიგებს!

სწორეთ ამ დროს კი, ერთ-ერთ ლონდონის სასტუმრო-ში, ჩარლსი თავისი სიძის წერილს ჰკითხულობდა. მოულოდ-ნელმა ამბავმა საშინლათ შეაწუხა.

— დღეს გვიან არის!— სთქვა მან, საათს რომ დახედა. —ხვალ დილას კი პირველი მატარებლით წავალო.

ის ადგა და ფანჯარას მიუახლოვდა. ქუჩაზე ეტლები დაჰ-ქროდენ, გამვლელ-გამომვლელები მიდი-მოდიოდენ, მაგრამ ჩარლსი მათ ვერ ჰხედავდა, ვერ ამჩნევდა. მას თვალწინ ეხა-ტებოდა ჯორჯი, ჯანსაღი, მაგარი, მხიარული შავთმა-ხუჭუჭა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შავთვალწარბა ბავში, რომელიც მის წამოსვლის დღეს კარებში იდგა, მომავალ ეტლს მიჩერებოდა და თავის ქუდს ჰაერში აქნევდა.

ცხადათ დაუდგა მას თვალწინ აგრეთვე უერგემიდან წამოსვლის წინა დღეც. ჯორჯი ეხვეწებოდა, ჯერ ნუ წახვალ, კიდევ დარჩი ჩვენთანო.

— ხვალ მიდიხარ, ბიძია? რატომ ასე მალე?

— მეორეთ რომ მოვალ, უფრო დიდ ხანს დავრჩები.

— მეორეთ! როდის იქნება მერე ეს მეორეთ?

— აი, როდის! — ამოიოხრა ჩარლსმა.

ელ. წერეთელი.

(დასასრული იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანქანა მეფეა

და

ზრუმა—ფული.



ამომსხმელი მანქანაც თავისი სისწორით არ ჩამორჩება ჩვენს ორთქლით მომქმედ ურუს. გიდრავლიური პრესი აჭერს ძალით, რომელიც უდრის 300,000 ფუთს. ამ ძალით ის 1000 ფუთ რკინას ისე ადვილათ აძლევს რაგინდ ფორმას, როგორც ადამიანის თითები თაფლის სანთლის პატარა ნაჭერს. რკინის გამაპრტყელებელი მანქანები, როგორც მცხობელი ცომს, აპრტყელებენ რაგინდ ვეებერთელა იყოს რკინის ნატეხი. მჭრელი მანქანა, როგორც კარგი დამჭრელი მკერავი, სჭრის უზარ-მაზარ რკინას, რომელსაც ვერ გააწევს ვერა ტყვია. ამ გვარათ რკინიდან მზადდება ის მასალა, რომელიც საჭიროა რკინის გზებისათვის, გემებისათვის, ხიდებისათვის. ჩვენი მჭედელი აბა სად გააკეთებდა და მოამზადებდა ამ მასალას.

იმ დარგებში, სადაც ადამიანსაც შეუძლიან გააკეთოს იგივე, რასაც მანქანა აკეთებს, ადამიანის ნაკეთები შორს ჩამორჩება მანქანისას. ორთქლით მომხნავი გუთანი უფრო ღრმათ ხნავს მიწას, ასეთი მოხვნა უფრო საჭიროა, რადგანაც თესლი უკეთ ინახება მიწაში სიცივისაგან და სიცხისაგან, ამიტომაც მოსავალი ყოველთვის ასეთ მოხნულ მიწაზე უკეთესი მოდის. ორთქლით მდღვებავი მანქანა ერთ და იგივე რძიდან შედღვებავს უფრო მეტს ერბოს, ვიდრე ხელით მდღვებავი დედაკაცი. ამ რიგათვე სართავი მანქანა ერთ გირვანქა მატყლიდან გააკეთებს მეტ ძაფს, ვიდრე თითისტარი. მანქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნით ნაქსოვი რა თქმა უნდა უფრო წმინდა და კარგი იქ-ნება.

მაგრამ უპირველესი ღირსება მანქანისა იმაშია, რომ მისი ნაწარმოები უფრო იაფია, ვიდრე ადამიანის ხელის ნაწარ-მოები. რაც უფრო ზედმიწევნით მუშაობს რკინის კაცი, მით უფრო იაფათ ჯდება მისი მუშაობა, მით უფრო იაფათ ჰყიდის მას მექარხნე, ნუ გგონიათ, რომ ამითი შემცირდება მისი შე-მოსავალი. ამიტომაც სტატისტიკური ცნობებიდანა სჩანს, რომ მანქანების გაუმჯობესობა და ნაწარმოებზე ფასის დაკლება ერთდროს ხდება. XVIII საუკუნეში ინგლისში ერთი პატარა კოლოფი კალმით სავსე ღირდა 10 მან. ახლა კი იქვე ეს კო-ლოფი ღირს 20—30 კაპეიკი. გირვანქა ნართი იქვე ღირდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში 7 მ. 50 კაპ. ახლა კი— 30 კაპეიკი. მანქანის ნაწარმოების მანქანითვე გადატანამ და-არღვია საზოგადოებაში გავრცელებული ის აზრი, ვითომც თვითონ საგანი ღირს გროშათ, გადატანა კი ჯდება მანეთი. ახლა ოკეანის დიდ გემებს გადააქვთ ისე იაფათ ყოველისფე-რი, რომ ევროპაში ხორცი ამერიკიდან და ავსტრალიიდანაც კი მოაქვთ და ეს გადატანა უფრო ხელმისაწვდენათ მიაჩნიათ.

ამ გვარათ რკინის კაცმა გააიაფა ყველა ნაწარმოები და ამიტომაც უფრო ხელმისაწვდენი გახადა უმრავლესობისათვის. თავის ცხოვრებაში—სასმელ-საჭმელში, ტან-საცმელში—ღარიბ კაცმა ისეთი რამ შემოიღო, რაც უწინდელ დროში იყო ხო-ლო მდიდრების კუთვნილება. უმეტესი ნაწილი იმ საგნებისა, რომელსაც ეხლა თავის ოჯახში ხმარობს უბრალო მუშა, ასი წლის წინეთ მილიონერებისათვისაც კი იყო სანატრელი. მთე-ლი თავისი ოქროთი ვერ იყიდდენ მას, რასაც ისე იაფათ შოულობენ ჩვენი თანამედროვეები, ამბობს ერთი ფრანგი მწერალი.

XV—XVI საუკუნეში ფორთოხალი ღირდა საფრანგეთში იმდენი, რამდენიც ახლა ღირს ანანასი. ლეღვი და ინდის ხუ-რმა ისეთი იშვიათი რამ იყო, რომ მათი საჭმელათ შოვნა სი-ცილს იწვევდა და დატყუების ნიშნათ იხმარებოდა. ასი წლის წინეთ შაქარი ევროპაში რაღაც მიუწვდენელათ მიაჩნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხს. გერმანიელი სტუმრები რო მაგიდას მიუსხდებოდენ, მასპინძელი იქვე ძაფზე ჩამოკიდებდა პატარა შაქრის ნაჭერს. სტუმრები, თვითოულათ ცოტ-ცოტას წუწნიდენ ამ ძვირფას საჭმელს.

XVII საუკუნეში ლიმონი თვით ხელმწიფეებისათვის იყო სანატრელი. აი რას მოგვითხრობს ერთი უწინდელ დროის ისტორიკოსი: „ხელმწიფის დარბაზები გაჩაღებული იყო ქონის სანთლით და ისიც ბევრი კი არ იყო, ათობით და ასობით კი არა, საუკეთესო ოთახი ის იყო, სადაც ოთხი სანთელი ენთო. ახლა კი სად არ არის ნავთი და ლამპა? უკანასკნელ დროში კი ელექტრონის ძალით ნათდება არა მარტო მდიდრის სახლები, არამედ სამზღვარ გარეთ უბრალო მუშა, რომელიც კვირაში 12—15 მანეთს შემოიტანს სახლში, სარგებლობს იაფ-ფასიან ელექტრონის ძალით. ჩვენ ჩამოვთვალეთ მანქანების აუარება ღირსებები, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ყოველისფერს კარგს მოსდევს ბევრი ცუდი—ცივილიზაციის შემოღებას მოჰყვა ბევრი უბედურება და მანქანა ხომ ცივილიზაციის საუკეთესო ნაყოფია. მანქანების შემოღებამ ბევრი ხალხი გააუბედურა თავდაპირველათ. მაგრამ ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ. მანქანას რომ თვითონ შეეძლოს ყველაფრის გაკეთება უადამიანოთ, სართველი მანქანა რომ თვითონ რთავდეს, მაშინ საჭირო აღარ იქნებოდნენ მონები, ყველა ადამიანი დასვენებული იქნებოდა და ამავე დროს ყველა მანქანის ნაწარმოებით ისარგებლებდა, ასე ოცნებობდა ზოგიერთი ბრძენი საბერძნეთისა. ეს ოცნება თვით-მომქმედ მანქანაზე, როგორც ვიცით, იყო განხორციელებული XVIII და XIX საუკუნეში. ეს კი მოხდა, მაგრამ თვით-მომქმედმა მანქანამ სრულებით არ მოუტანა მუშა ხალხს დასვენება და ქონება, როგორც საბერძნეთში ფიქრობდენ. XVIII საუკ. მანქანას ხალხი უყურებდა არა როგორც თავის მხსნელს და კეთილმსურველს, არამედ როგორც თავის პირად მტერს და ავის მყოფელს. ამიტომაც ისტორია მოგვითხრობს როგორ იყვენ დევნილი ხალხის ბრბოთი, განთქმული თავიანთი ალმოჩენით პირები, როგორ იგინი იძულებულნი იყვენ ხშირათ დამალულიყვენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გადარჩენოდენ ადამიანთა სიძულვილს და დევნას. ბევრი ქარხანა იყო დარბეული, მანქანები დამსხვრეული გაბოროტებული მუშებისაგან. ინგლისის პარლამენტში,— საკანონმდებლო დაწესებულებაში, არა ერთხელ იგზავნებოდა საჩივრები მუშა ხალხისაგან, რომ აეკრძალათ მანქანა და თუ ეს შესაძლებელი არ იყო, შეემცირებინათ მათი რიცხვი. რითი აიხსნება ასეთი დევნა და გაბოროტება? ნუ თუ მარტო იმითი, რომ მუშა ხალხი შეეჩვია უწინდელ მუშაობას და არ უნდოდა ახალს შეჩვეოდა? აბა, ეს რკინის კაცი ართმევდა ადამიანს მის ცხოვრების უკანასკნელ სახსარს, ბევრს, ძალიან ბევრს ოჯახს აღატაკებდა, ისეთ ოჯახებს, რომელნიც შეძლებულათ ითვლებოდენ, სანამ მანქანა არ იყო შემოღებული. რკინის კაცი გულგრილათ მუშაობდა, მისთვის სულ ერთი იყო ვინ ისარგებლებს მისი ნაწარმოებით, ვინც იყიდის, მას ეკუთვნის მათი ნაწარმოები. და ეს კი ღირდა ისე ძვირათ, რომ მარტო მდიდარს შეეძლო მათი ყიდვა. მდიდარი უწინ ანაწილებდა სამუშევარს წვრილ ხელოსანთა შორის და მერმე მით ნამუშევარს ჰყიდდა ძვირათ და ამითი ფულს იგებდა. ახლაც მდიდარი ყიდულობდა მანქანას, ხსნიდა ფაბრიკას და ისევ სარგებლობას ის ხედავდა და მდიდრდებოდა. აბ რიგათ მანქანა ართმევდა ლუკმას მუშა ხალხს და ამდიდრებდა თავის პატრონს, საქმის მწარმოებელს. ამას კარგათ ხედავდა მუშა, თანაც გრძნობდა, რომ შეუძლებელია უკანვე დაბრუნება. რკინის კაცი სწორეთ იმ დროს მოვიდა, როდესაც მრეწველობა მას მოუთმენლათ ელოდა. მოწინავე ქვეყნებმა და განსაკუთრებით ინგლისმა ძალიან გააფართოვა ვაჭრობა უცხო ქვეყნებთან, მასთან ერთათ გაძლიერდა მოთხოვნილება სხვა და სხვა ნივთებზე. ვაჭარი გამდიდრდა. მას ახლა შეეძლო გაეფართოებინა თავისი საქმე. და აი ამიტომაც მუშამ ვერასფერი ვერ გააწყო მანქანის წინააღმდეგ. რკინის კაცები მრავლდებოდენ, იპყრობდენ მრეწველობის სხვა და სხვა დარგებს. მანქანა გამეფდა, მასთან შებრძოლება ვისღა შეეძლო, სადაც კი მივიდა მანქანა, ყველგან შეიცვალა ცხოვრების მიმდინარეობა, მრეწველობა, ყველგან დაიწყო ცვლილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანქანის შემოღება პირველათ დაეტყო ხელოსანს და სოფლის მუშას, რომელიც თავის უხერხული იარაღით ამზადებდა სხვა და სხვა საგნებს—ლურსმნებს, ტილოს, ფეხსაცმელს, კოვზებს, სავარცხლებს. მანქანამ გააიაფა მათი მუშაობა. რკინის კაცი მუშაობდა სულ იაფად. მასთან შებრძოლება მარტო მაშინ შეეძლო წვრილ მუშას, თუ თავის ნაწარმოებს დაუკლებდა ფასს. მუშის ხელფასი მით უფრო იკლებდა, რაც უფრო მატულობდა მანქანის გავრცელება და გაუმჯობესობა. სართავ მანქანის შემოღების შემდეგ ინგლისში, ოცი წლის განმომავლობაში, დამრთავი კაცის ხელფასი მესამედზე დაიწია და ბოლოს გახდა 8 კაპ. დღეში. ვიღა ფიქრობდა ახლა კარგ ცხოვრებაზე! მუშის დარდი იყო ეხლა შიმშილით არ მომკვდარიყო. ის აგრძელებდა სამუშავო დღეს, დილიდან საღამომდე უჯდა მანქანას—მაგრამ ასეთმა განუწყვეტლივ მუშაობამ, მაინც ვერ გადაარჩინა სიმშილისაგან. ძალა უნებურათ მუშები ანებებდენ თავს თავის სამუშაოს, რომელიც ველარ ინახავდა მათ. სოფლის ქოხებში და პატარა ქალაქის სახელოსნოებში შესწყდა თითის ტარის ბზუილი და ჯარას ხმაურობა. მათი პატრონები სტოვებდენ თავის სახლ-კარს და გარბოდენ რამე ახალი სამუშევრის საშოვნელათ.

XIX საუკუნის დასაწყისში უმეტესი ნაწილი ინგლისის მუშა ხალხისა იძულებული იყო გადახვეწილიყო უცხო ქვეყნებში. ცუდი დღე გაუთენდა ინგლისელ ხალხს. ის იტანჯებოდა ახალ მეფის ბრძანებლობის ქვეშ. თითქოს გამარჯვებული მტერი შემოესია მშობელ ქვეყანასო, ისე გარბოდა ხალხი მანქანისაგან. მანქანის შემოღება მრეწველობაში იყო იმდენათ გამანადგურებელი, რამოდენათაც ზოგიერთი საშინელი ომები, ამბობს ერთი ინგლისელი მწერალი. უწინდელ დროში დამარცხებული ხდებოდა მონა თავისი მძლეველისა, ისე ახლა ხელოსანი, მუშა, გახდა მონა მანქანისა, რომელმაც გააიაფა ხელით მუშაობა. რაღა დარჩა უწინდელ მუშას? მარტო სურვილი მუშაობისა. ეხლა ის ჰყიდდა ამ „სურვილს“, ის ჰყიდდა თავის მუშა-ხელს, ვისღა ესაჭიროებოდა მისი ხელები? ვის და მანქანის პატრონს. ეს ქირაობდა მუშებს, რომელთაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმორჩილებდა მანქანას—რკინის კაცს. მანქანის შემოღებამ დასტოვა ულუკმაპუროთ ათასი მუშა, რომელნიც იძულებულნი გახდენ დაეტოვებინათ თავისი უწინდელი ხელობა, თავისი დამოუკიდებელი ცხოვრება და მისულიყვენ მანქანების პატრონთან სამუშაოთ. დაქირავება მუშისა უწინდელ დროშიაც არსებობდა, მაგრამ რიცხვი ამ დაქირავებულ მუშათა არასოდეს არ იყო იმოდენა, როგორც ახლა, მანქანის გამეფების შემდეგ. უმეტესი ნაწილი მუშებისა მარტო ქარხნებშიღა პოულობდა სამუშევარს. ამიტომაც ყველანი, ვისაც მრეწველობის ცვლილებამ ახალი სამუშევარი აძებნინა, ყველანი გაეშურნენ იქ, სადაც იყო ქარხნები და მანქანები. ჩრდილოეთ ინგლისის მაზრებშა, რომელნიც უწინდელ დროში ნაკლებათ იყვენ დასახლებულნი, ახლა მანქანის შემოღების შემდეგ მიაწყდა მრავალი მცხოვრებლები. მდიდრები მართავდენ იქ თავის ქარხნებს, რადგანაც იქ ბევრი ქვა-ნახშირი იყო—მასალა ფრიად საჭირო ქარხნისათვის. მექარხნეების მოგება თვალსაჩინოთ იზრდებოდა, იაფ ნაწარმოებზე მოთხოვნილება დღითი დღე მატულობდა—ეს იყო მიზეზი, რომ ქარხნის პატრონები აფართოვებდენ თავის ქარხნებს, მართავდენ ახლებს. ქარხნები, როგორც სოკოები ნაწვიმარზე, ისე იზრდებოდენ ქალაქებში, სადაც თავშესაფარს პოულობდენ ათიათასი მუშა. ამ ქალაქებისაკენ გასწიეს ხელოსნებმა, გლეხებმა, რომელნიც მანქანის შემოღებამ მოაშორა თავის ბაბუის დროის ჯარას და თავის ყანებს. სოფლები ცარიელდებოდენ და ახალი ქარხნის ქალაქები კი ივსებოდენ. ქალაქის მცხოვრებელი მდიდრდებოდა და ამავე დროს ღატაკდებოდა სოფელი. რამოდენიმე ათეული წლის განმომავლობაში ინგლისი, ქვეყანა, სადაც უმეტესათ იყო გავრცელებული ხვნა-თესვა და მიწის დამუშავება—იქცა „საქვეყნო ქარხანათ"—იმ ქვეყნათ, სადაც ქარხნები იზრდებიან სოკოებსავით. ინგლისი, რომელიც თავისი ნაწარმოებით ავსებდა სხვადასხვა ქვეყნებს, იმდენ მუშა ხალხს იზიდავდა ქარხნებში, რომ ყანები დაუმუშავებელნი რჩებოდა და ინგლისელები იძულებულნი იყვენ პური სხვა ქვეყნებიდან მოეტანათ.

(შემდეგი იქნება) ა. ფ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიმპანზე ოთხზე დაიარება. ხელის მუშტებს აბჯენს დედა მიწაზე, რისგამოც თითების ზემო მხარე ძრიელ დაკორძებული აქვს. ფეხებს ან პრტყლად სდგამს, ან ისევ თითებს აბჯენს.

აფრიკელი ზანგები შიმპანზეს ეძახიან: „მბან"-ს ანუ „ბაამ"-ს. შიმპანზე ძრიელ ადვილად მოძრაობს და დაიარება მაღალ ხეებზე. — უყვარს ერთი ხიდან მეორე ხეზე მარდად გადასვლა, გადახტომა (ტოტს მოიზიდამს ხოლმე) და სხვა გვარი გართობა, საჭმელიც იგივე უყვარს რაც გორილლას.

ადამიანის სახის მაიმუნებში ყველაზე ხშირად შიმპანზე მოჰყავთ ევროპაში, მაგრამ 2—3 წელიწადზე მეტს ვერც ეს მაიმუნი იტანს ევროპის ჰავას. გვარწმუნებენ კი რო ადგილობრივ (აფრიკაში) შიმპანზემ 20 წელიწადზე მეტი გასძლო ტყვეობაშიო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შიმპანზე ძრიელ ადვილად ეჩვევა ადამიანებს და ბევრს რასმესაც ჰბაძავს და სწავლობს. ფ. რ. შეეხტი გვარწმუნებს, რომ შიმპანზე, როცა ქეიფზეა, ისე იცინის და ხარხარებს, როგორც ადამიანი. ამ ჟამად შტუტგარტის ზოოლოგიურ ბაღში დედალ-მამალ შიმპანზეს ინახვენ და თურმე კაი განწყობილება აქვსთ ერთმანეთში, ძრიელ მშვიდობიანად და ალერსიანად სცხოვრობენ ერთს გალიაში.

მესამე გვარი

ორანგ-უტანი.

Pithecus Satirus.

ზემოდ აღწერილ აფრიკანელ მაიმუნებისაგან ძრიელ განირჩევა აზიაში მცხოვრები ადამიანის სახის მაიმუნთ მესამე გვარი, ორანგ-უტანი (ტყის კაცი). ბორნეოს კუნძულზე მას უწოდებენ „მეიას“ ანუ „მაიას“. ამ მაიმუნს მეტად გრძელი ხელები კოჭებამდე სწვდება, წოწოლა თავი ბუხრის ქუდს უგავს, და სახეც დინგვით აქვს წამოწეული. ახალგაზდა ორანგს თავი ძრიელ მიუგავს ბავშვის თავს, მაგრამ რამდენიც ხანში შედის მსგავსება ადამიანისა ეკარგება და მხეცის სახე უფრო ეძლევა. უდიდესი ორანგ-უტანი, რომელიც ჟოჟესმა მოჰკლა, სიმაღლით 1,35 მეტრი აღმოჩნდა. კისერი ამას მოკლე აქვს და ყელი ნაკეცებიანი ჩიჩაყვივით ჩამოსული. ეს ჩიჩაყვი მაიმუნს შეუძლია, როცა უნდა, გაჰბეროს კიდეც. უმსგავსი, ნაოჭიანი სქელი ტუჩები საშინლად აქვს წინ გამობურთული, ცხვირი ძლივს ეტყობა; პატარა თვალები და ყურები ადამიანისას უგავს, კბილებში ყველაზე ძრიელ განვითარებული აქვს ღოჯები. ზემო ტუჩი მეტის-მეტად სქელი აქვს, გამობერილი და როცა-კი მაიმუნი გაჯავრებულია წინ გამოიშვერს ხოლმე ტუჩებს. წინიდან მთლად პირისახე, ხნიერს მამალ ორანგუტანებს უფრო განივრად მოუჩანთ, ვიდრე სხვა ადამიანის სახის მაიმუნებს; ეს იმიტომ, რომ საფეთქლებიდან მოყოლებული ვიდრე ქვემო ყბამდე პირისახის ორსავე მხრიდან სქლად უწყვია ქონით გატენილი ღაბაბები. განიერი ზურგი ძლიერ თხლად აქვს ბალნით შე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსილი. მკერდი თითქმის ტიტველი აქვს. ხოლო გვერდებზე აყრია გძელი ბალანი და ყოველთვის ყალხზე უდგია. წვერ ულვაში, თავის ქალის, ზურგის და მხარ-ბეჭის თმა კი რიგზე ეზდება, თავქვე. მისი ბალნის ფერი უფრო ქერა-რუხია;

ტიტველი ადგილები ღია ნაცრის ფერი აქვს. ხელ-ფეხის **ასხმული** (кисти)—ვიწრო და გძელი. ფეხების ცერზე ფჩხილი სულ არ ეზდება; ზოგჯერაც მთელი ცერი ხახუტი აქვს და მხოლოდ ერთ საღსრიდან შესდგება ხოლმე იგი.

ორანგ-უტანი სცხოვრობს სუმატრას და ბორნეოს კუნძულებზე; აქ იგი იმალება ატეხილ დაბურულ ვაკე ტყეებში, ანუ მდინარეთა ნაპირებზე, სადაც ხშირად გაფანტული გუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბეები ბუჩქნარებით დაბარდულია და გაუვალად ხდის ტევრს. ორანგი ძრიელ იშვიათად ჩამოდის დედამიწაზე და ისიც მხოლოდ მაშინ თუ მცვრიანი ხილი შემოაკლდა და წყალი ძრიელ მოსწყურდა. მეტს დროს იგი მაღალ ხეებზე ატარებს. ზედ კენწეროზე მოექცევა ხოლმე, საცა კი ხშირი ფოთლები და ტოტებია. ატეხილი, მაღალ ხეებიანი ტევრი იმიტომ უყვარს, რომ, როცა მოგზაურობს, ძირს მიწაზე ჩამოსვლა აღარ სჭირდება—ხიდან ხეზე გადადის. ზოგნი ბუდესაებ იშენებენ ხის ტოტებზე ბინას. ასაშენებლად ხმარობენ ხშირ ფოთლიან ტოტებს, თანაც ბალახ-ბულახს და ფოთლებს იგებენ ქვეშ. ამბობენ, როცა ხშირი წვიმები მოდის, ორანგები პანდანუსის ფოთლებს და ჩადუნას თურმე იხურავენ. საჭმელი ორანგ-უტანისა არის უმთავრესად ხილი, ნორჩი ფოთლები, კოკრები, ნეკერი და ყლორტები; აგრეთვე თესლეულობა, ფრინვლის კვერცხი და არც თუ მწერებს დაიწუნებს. ორანგი თავის დღეში არ დადის ადამიანსავით წელში აღმართული და თუ ვისმეს უნახავს, ეგ უთუოთ მაშინ, როცა ორანგი ხელებით მაღალ ტოტებს ეჭიდება, ან როცა მტერს იგერიებს. ბევრს ჩვენგანს უნახავს დახატული ორანგი ჯოხით ხელში მოსიარულე—ეს მოცლილი კაცის ფანტაზიის ნაყოფია და სხვა არაფერი.

ორანგ-უტანი ადამიანს არ გაურბის, პირიქით დაინახავს თუ არა მშვიდობიანად, ცნობისმოყვარეობით უცქერის; ხოლო თუ თოფით დასჭრეს, მაშინ კი ვარბის, სწრაფად გადადის ერთის ხის კენწეროდან მეორეზე და აშფოთებული ამტვრევს ხის ტოტებს. ზოგნი გვაჯერებენ, რომ გაანჩხლებული მაიმუნი ამ დამტვრეულ ტოტებს პირდაპირ მტერს ესვრის ხოლმეო. როცა ორანგს უცაბედად შეეფეთება კაცი, მაშინ კი შველა არსაიდან არი, მაიმუნი თავგანწირულად იცავს თავს და ღონიერ კბილებით გაანჩხლებული ჰგლეჯს ადამიანს.

ბავშობისას დაჭერილი ორანგი ძრიელ ადვილად შინაურდება, ტყვეობაში ბევრს რასმე სწავლობს და ჰბაძავს ადამიანს, მაგრამ რაც ხანში შედის გულისყურიც ეკარგება და შეძენილი ცოდნაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე გვარი.

გიბონები.

ანუ

მხარგრძელი მაიმუნები.

Hylobates.

ვერც ერთს ჯგუფში ვერ შეხვდებით ისეთ გრძელ ხელებიან მაიმუნებს, როგორნიც არიან გიბონები. ფეხზე აღმართული გიბონი ხელებით დედამიწას სწვდება. ეს იმდენად უტყუარი ნიშანია ამ მეოთხე გვარის მაიმუნებისა, რომ მთელ ჯოგშიაც ადვილად იცნობთ გიბონს. ადამიანის სახის მაიმუნებში გიბონები შეადგენენ მეტად მრავალრიცხოვან გვარს. ყველა ამათი მსგავსნი სცხოვრობენ აზიაში, განსაკუთრებით ინდოეთში, აგრეთვე მეზობელ კუნძულებზე (იავა, ბორნეო, სუმატრა). ყველა მსგავსი გიბონებისა დიდროანი იზდებიან, თუმცა იშვიათად რო ერთს ადლს (მეტრს) ასცილდეს. პატარა თავი კვერცხის ფორმისა აქვთ, სახით ძრიელ ჰგვანან ადამიანს. კუდი სულ არ ეტყობათ. შემოსილნი არიან ხშირ და აბრეშუმივით რბილ შავი, რუხი ანუ ჩალის ფერ ბალნით. ყველა გიბონი გამოჩენილია თავის მაღალ ხმით. ამათ ხმას დილაობით უფრო გაიგონებთ-

მხარგძელ მაიმუნებში უფრო ცნობილ არიან:

სიამანგი, Hylobates syndactylus.

ჰულოკკი, H. Hulock.

ლარი, ანუ თეთრხელება გიბონი, H. lar.

ჰუნკო, H. rafflesii.

ვოუ-ვოუ, ანუ **ოა**, H. Variegatus.

ამ მაიმუნებს ტანის მოყვანილობა და აგებულება თითქო განგებ ხეებზე მარდათ ასაძვრენ-ჩამოსაძვრენად აქვთ შეფერებული. მართლაც და ისე მარდად დაძვრებიან, დახტიან ხეებზე და მათ ტოტებზე, რომ გეგონებათ ფრინველები არიან მაიმუნის სახით მოჩვენებულნიო. დედამიწაზედ კი საცოდავად დაჩანჩალებენ. ან კი რისთვის სჭირიათ დედამიწა ამ ჰაერის შვილებს? ძრიელ იშვიათად, იქნება წყურვილმა თუ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაატანოს ძალა, თორემ მათი ნამდვილი სამეფოა ჰაერი და ხის ტოტები.

თუმცა კი იშვიათი არ არის, როცა დედა გიბონი ბავშვებს ჩალალამს ხოლმე წყალზე საბანაოთ. ამ დროს საშინლად ყვირიან პატარა გიბონები, მაგრამ დედა მათს ყვირილს ყურადღებას სულაც არ აქცევს, არ ეშვება, ვიდრე სუფთად არ აბანებს.

გიბონები ვერ იტანენ ტყვეობას. არამცთუ ევროპაში, ადგილობრივაც ვერ ახერხებენ გიბონის მოშინაურებას. დაჭერილი გიბონი მალე ჯავრისაგან კვდება, - ვერ ურიგდება დაკარგულ თავისუფლებას, ნაღველა უსივდება, ვერ ივიწყებს თავის ხეებს და ჰაერში თავისუფლად ნავარდს.

რაც შეეხება გიბონების ჭკუა-გონებას, ზოგი მეცნიერი უქებს (ფორბსი), ზოგი-კი უარს ჰყოფს (დიუვოსელი).

ძაღლის სახის მაიმუნები.

Cynopithecini.

მეხუთე გვარი

ტანწვრილები (Semnopithecus)

ვიწროცხვირა მაიმუნთა ოჯახის მეორე ჯგუფს შეადგენენ ძაღლის სახის მაიმუნები. ესენი იცნობიან ძაღლსავით წინ გამოშვერილი ყბით (დინგით), რამდენათაც დაბლა სდგას ამათი მსგავსი, იმდენად უფრო აშკარად ემჩნევა დინგი, ტანწვრილიდან დაწყებული ვიდრე ტანსქელ ძაღლთავა პავიანამდე. საზოგადოთ ამგვარი მაიმუნები ტანის აგებულებით საშინლად განსხვავდებიან ერთი-ერთმანეთისგან. ხელები მოკლე აქვთ; ხშირად კუდიანებსაც შეხვდებით და ყვრიმლის თალიებითაც; დუმები ყველას დაკორძებული აქვს. ცხოვრობენ ძველ ქვეყნის ცხელ ადგილებში, უფრო კი ინდოეთში, აგრეთვე გიმალაიდან დაწყებული, უკანა ინდოეთში კოხინხინაში, მალაის გაფანტულ კუნძულებზე, სამხრეთ არაბეთში და მთელს აფრიკაში, სახარის უდაბნოს აღმოსავლეთ ნაწილის გარდა.

ეს მაიმუნები მთელ თავის რაზმის მაიმუნებში უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლით სავსენი და ცქვიტები არიან, მოსაზრებაც აქვთ, მეტი ნაწილი ანჩხლები და უხამსი უდიერები არიან. საცა-კი ესენი სცხოვრობენ იქ უეჭველათ ზარალი მოაქვთ მცხოვრებთათვის, რადგან ყოვლად უსვინიდისოთ აოხრებენ და არბევენ პლანტაციებს და ბაღებს. ზოგ ადგილას მათი ეშინიან კიდეც ხალხს, როგორც ბოროტ ცხოველებსა. ზოგნი მათ ზიზღით იხსენიებენ, მაგრამ ზოგი ხალხი-კი მათ წმინდანებათ სთვლის.

*

ტანწვრილ მაიმუნებს თავი პატარა და მაღალი აქვთ, სახე ტიტველი, მოკლე დინგი, პატარა ყვრიმლის თალიებით. დუმის კორძები ცოტათი ეტყობათ; ძვლის ჩონჩხით ძრიელ გვანან გიბონებს. გრძელ თითებში ხელზე ცერი მოკლე და მოუხეშავი აქვთ, ასე რომ რაიმე საგნის დასაბღუჯად აღარც კი გამოდგება. ბალანი აქვთ შესანიშნავი, აბრეშუმივით წმინდა, და მშვენიერ ფერადებით აჭრელებული. თავზე თმა საკმაოდ გრძელი ეზდებათ.

ეს ტანწვრილი მაიმუნები სცხოვრობენ განსაკუთრებით ცეილონის კუნძულზე და აგრეთვე ინდოეთის დაქსაქსულ პატარა კუნძულებზე, აქ იგინი ხროვა-ხროვათ (40—50) სცხოვრობენ ტყეებში, უფრო მდინარეთა ნაპირებზე და რა თქმა უნდა, სოფლების ახლოს უფრო ეტანებიან პლანტაციების გულისთვის. რადგან ამ მაიმუნებს ხალხი არას ერჩის, ამიტომაც თავისთვის ძრიელ მშვიდობიანად და ბედნიერად იმყოფებიან.

*

ამ მაიმუნებში უეჭველად უნდა დავასახელოთ ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი, რომელსაც ინდუსები ყოვლად წმინდანად სთვლიან და თაყვანსა სცემენ. ამ მაიმუნს ინდუსები ეძახიან „ჰანმან“-ს, ხოლო მეცნიერებში **„ჰულმან“-ს.**

Semnopithecus entellus.

მთელი სიგძე გულმანისა, კუდიც რომ ჩავთვალოთ, ადლნახევარი იქნება და ისიც თითქმის ერთი ადლი კუდს უნდა ვარგუნოთ, რომლის ბოლო ფოჩით თავდება. ბალანი თეთრი, მოყვითალო ფერისა აქვს, ხოლო ტიტველი ადგილები მუქი იის ფერი. პირისახის ნაწილი, ხელები და ფეხები შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ამირანი

ზაზეთი ღირს:

ერთის წლით:		ნახევარის წლით:	
თფილისში.	6 მ. 50 კ.	თფილისში.	4 მ. — კ.
საზღვარ-გარედ.	7 „	თფილისის გარედ	4 „ 50 „
საზღვარ-გარედ	12 „ — „	საზღვარ-გარედ	6 „ — „

ერთის თვით:

თფილ ს'ში. — 75 კ. თფილის გარედ — 80 კ. საზღვარ-გარედ 1 მ. 50 კ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

ფოსტის ადრესი Тифлисъ, редакція газ. „АМИРАНИ“.

მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისთვის

ყოველ დღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

მეცხალ-ზე

გამოდის თფილისში 1908 წლის 4 აპრილიდან.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., ერთი თვით 90 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ბარიათინსკის ქუჩაზე, № 3. ფული უნდა გამოიგზავნოს უსათუოთ შემდეგი ადრესით: Тифлисъ, типографія „Шрома“, Антимозу Петровичу Коридзе.

ი 407/1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეჯილი

საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

(მეთვრამეტე წელიწადი)

მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილ ყმაწვილებისათვის. თითო წიგნში იქნება არა ნაკლებ ოთხამდე ფურცელი, ანუ 64 გვერდი.

ჟ უ რ ნ ა ლ ი „ ჯ ე ჯ ი ლ ი“

თბილისში ელირება	4 მან.	ქალაქ გარეთ გაგზავნით	5 მ.
ნახევარი წლით . .	2 „	ცალკე ნომერი	—40 კ.

ქალაქ გარეშე მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ **ქუთაისში** ნ. ილ. მღვდლიევისას და წიგნის მაღაზიას „კოლხიდა“. **ბათუმში** წიგნის მაღაზიას „მეგობარი“, **ოზურგეთში** წიგ. მაღ. „იმედი“, დაბა **ხონში** მასწ. გ. ბოკერიას, **ახალსენაკში** წიგ. მაღ. „სინათლე“, **სამტრედიაში** გ. ფოცხვერიას, **ყვირილაში** წიგ. მაღ. ალ. ბაჩეჩილაძეს, **ბაქოში** ქართ. თეატრში ი. თედეშვილს, **ჭიათურაში** ვ. მოლეშვილს.

თბილისში ხელის მოწერა მიიღება: წერა-კითხვის საზკანცელარიაში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში: არტილერიის ქუჩა, № 5, კადეტის კორპუსის გვერდით.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.

„ჯეჯილის“ სრული 16 წლის გამოცემა (რომელიც შეადგენს 140 წიგნზე მეტს), ელირება გაგზავნით სხვადასხვა ქალაქებში 30 მ. თბილისში სასწავლებლებს, რომელნიც რედაქციიდან თითონვე წააღებინებენ, დაეთმობათ 25 მ. ცალ ცალკე წლების „ჯეჯილები“ თითო წლისა ელირება 2 მ.

რედ.-კამპოზიტორი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.